წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | ხუთშაბათი, 1917 წ. მაისის 18 (31)

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., [illegible] კანელზე—20 კ., [illegible] მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 105 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 105

გაზეთი
„საქართველო“
ღირს:
მთელის წლით—15 მ., $^1/_2$ წლით—9 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მოწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნას გარდახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისათვის 5 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ. მისამართის გამოცვლისათვის ქალაქგარეთელმა ხელის მომწერმა უნდა წარმოადგინოს 50 კ. ფოსტის მარკით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღიაა: დილით 9—3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.
1 აპრილიდან წლის ბოლომდე გაზ. „საქართვ.“ ეღირება 11 მ.—25 კ.
ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, ზევით გამოცხადებულის საერთო წესის მიხედვით.
რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპიძე.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

დავით ვასილის ძე სიდამონ-ერისთავი და მეუღლე მისი ლიუდმილა ედუარდის ასული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, მაისის 19-ს, ტრაღიკულად დაღუპულის ძვირფასი შვილის, პირველთა და საყვარელი ძმის მეორეთა თბილისის ქართული გიმნაზიის მე-4 კლ. მოწაფის
არჩილის
საფლავზე კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილ იქნება 40 დღის პანაშვიდი, შუადღის 12 საათზე. 1—646—1

თბილისის ქალაქის საბჭო
აცხადებს, რომ ტრამვაის ვაგონების
წინა და უკანა ბაქანზე ჯარისკაცთათვის
შემოღებულია დაკლებული ტარიფი:
ერთ და იმავე ვაგონით ორი სადგურის გავლა ერთ შაურად ღირს. საერთო რიცხვი კი ადგილებისა წინა და უკანა ბაქანზე ისევ ძველებურია. 1—691—1

ექიმი
ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.




## თბილისი, მაისის 18.

## დამფუძნებელი კრება

ანარქიამ რუსეთში საშიში ხასიათი მიიღო კიდეც, რაც დრო გადის მით უფრო ძლიერდება მისი საფრთხე. ერთს ადგილას სოციალისტური რესპუბლიკა გამოცხადდა, მეორე ადგილას მილიტარული დიქტატურა: ქალაქი ცარიცინი ამ ორიოდე დღის წინედ ადგილობრივმა ჯარმა „დაიპყრო“ და მცხოვრებლებს მძიმე „ხარკი“ დაადო. მკითხველმა იცის კიდეც რა მოხდა მცენსკის მაზრაში და რა ხდება რკინის გზებსა და სადგურებზე.

ეს მოვლენა სტიქიონურია და ვისიმე ბოროტი განზრახვით არ აიხსნება. უსამართლობა იქნებოდა ბრალი ბურჟუაზიისათვის დაგვედო, როგორც ამას ზოგიერთი გაზეთი სჩადის; ბურჟუაზიის ინტერესი ყოველთვის უფრო წესრიგს მოითხოვს, ვიდრე ანარქიას. მაგრამ დღესდღეობით არც ლიბერალურ ბურჟუაზიას და არც სოციალისტურს დემოკრატიას საკმაო ძალა არ შესწევს, რომ რუსეთის აბობოქრებული სტიქიონი სავსებით დაიურვოს და დაიმორჩილოს.

რუსეთის რევოლუცია არაჩვეულებრივს პირობებში დაიწყო. ძველი საკანონმდებლო დაწესებულება, სახელმწიფო სათათბირო პირველს დღეებშივე გაჰქრა, როგორც მავრი, რომელმაც თავისი საქმე გააკეთა. შემდეგ ვიღაცამ გაიხსენა „ოთხი სათათბირო“, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა მათი მკვდრეთით აღდგენა. დროებითი მთავრობამ ვერ მოიპოვა საყოველთაო დასტური: მას წინათ უნდობლობას უცხადებდა სოციალისტური დემოკრატია, ახლა იჭვიანად უცქერის ზომიერი ბურჟუაზია. მთავრობის დაწესებულებების გვერდით არსებობს მუშათა და ჯარისკაცთა წარმომადგენლების საბჭოები, მაგრამ ეს ორგანიზაციები დაახლოვებით იმავე როლს ასრულებენ, რასაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს იაკობინური კლუბები ასრულებდნენ: ეს უფრო საინიციატივო და საკონტროლო დაწესებულებებია, ვიდრე საკანონმდებლო ან საადმინისტრაციო.

რუსეთის რევოლუციამ საუკუნოებრივ დამშეულს, დაბეჩავებულს ხალხს ბორკილები ახსნა და მადა გაუღვიძა. ამ ხალხის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება და დაკმაყოფილება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია. სხვა არა იყოს რა ეს კრება ომის დასაბოლოვებლად, არის საჭირო: დროებით მთავრობას შეუძლიან მხოლოდ წინასწარი მორიგების ჩამოგდება, მაგრამ მას არ შეუძლია საბოლოო ზავის დამტკიცება.

პეტროგრადში კიდეც შესდგა დამფუძნებელი კრების მოსამზადებელი იურიდიული კომისია, საგანგებო სამინისტროც უნდა დაარსდეს. მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევა ისეთს ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ბევრს ჰგონია. დემოკრატიული პრინციპი მოითხოვს, რომ არჩევნები აუცილებლად საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი იყოს. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს მომქმედმა ჯარმაც და დედაკაცობამაც. ეს კი საქმეს დიდად ართულებს. ჯარი მხოლოდ სრულწლოვანი მამაკაცებისაგან შესდგება. ძნელია სამართლიანი პროპორციის დაცვა ტერიტორიულ საარჩევნო ოლქსა და საფრონტო საარჩევნო ოლქს შორის. თანასწორობის პრინციპი უეჭველად შეიბღალება. რუსის ხალხის ნახევარზე მეტმა არ იცის არც წერა, არც კითხვა; ძნელია ფარული კენჭის ყრის განხორციელებაც. რუსეთი ალაგ-ალაგ მეტის მეტად თხლად არის დასახლებული. ჩრდილო გუბერნიებში, ციმბირში, შუაგულ აზიაში რამდენიმე კვადრატიულ ვერსის მანძილზე ორიოდე სული მცხოვრები მოდის; უგზოობის გამო აქ თითქმის შეუძლებელია ამრჩევლების თავის მოყრა განსაზღვრულს საარჩევნო ცენტრში. ციმბირის მდინარეების განაპირას გამწკრივებულია სოფლები, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სრულიად მოწყვეტილია გარეშე ქვეყანას: მიმოსვლა მხოლოდ შუა ზამთარში და შუა ზაფხულში სწარმოებს. ეს გარემოება აფერხებს საყოველთაო ხმის უფლების განხორციელებას. საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთში მხოლოდ ახლა იწყება ნორმალური პოლიტიკური ბრძოლა: დიდს ქალაქებსა და დაწინაურებულს კუთხეებში ხალხი ასე თუ ისე ერკვევა პარტიულს პროგრამებში, მაგრამ მივარდნილ სოფლებში ჯერ კიდევ არ ესმით პოლიტიკური ლოზუნგების შინაარსი. გლეხის ქალი ამ მხრივ განსაკუთრებულ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება.

დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევას მთელი ქვეყნის პოლიტიკური ჩამორჩენა და უკულტურობა აფერხებს და არა ბურჟუაზიისა ან დროებითი მთავრობის ბოროტი ნებისყოფა. მაგრამ ყოველი დაბრკოლება უნდა დაძლეულ იქმნას, რასაკვირველია. ომის დაბოლოვება და ანარქიის ალაგმვა მხოლოდ დამფუძნებელს კრებას შეუძლია.

## მცირე შენიშვნა დიდ საგანზე*)

„კვიცი გვარზე უნდა ხტოდეს“. „კვიცი რომ დედას წინ გაუხტება—მგელი შესჭამსო“.
**ხალხური ანდაზები.**

ეხლანდელმა დრომ წამოაყენა ჩვენ, ქართველებისათვის, ორი დიდი ძირითადი საკითხი გადასაწყვეტად: ა) ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან და ბ) ჩვენი ქვეყნის მოწყობა-მორიგება და მართვა-გამგეობა. რუსეთის სახელმწიფოში არ არის ისეთი ხალხი, რომელსაც კანონით და ისტორიით უმეტესი უფლება ჰქონდეს თავისუფალი ცხოვრებისა და ნაციონალური თვითმართველობისა ვიდრე ჩვენ, ქართველებსა: ჩვენ თოფ-იარაღით დაპყრობილი ხალხი არა ვართ რუსეთის მიერ,—ჩვენა ვართ კავშირის პირობებით შეკრულნი რუსეთთან 1783 წლის ხელშეკრულობით, რომელიც 1801 წ. სულით და ზნეობით სნეულმა პავლე I ერთი კალმის მოსმით გააუქმა. 23 იანვარს 1801 წ. გენერალ კნორრინგს მისწერა ჩრდილო კავკასიაში: „მე მინდა, რომ საქართველო გუბერნია იყოს“, და აი ას წელზედ მეტია, რაც საქართველო გუბერნიათ არის გადაქცეული ხალხის დაუკითხავათ და 1783 წ. ხელშეკრულობის წინაღმდეგ. მაშასადამე საუკუნის განმავლობაში არავითარი, კანონიერი ურთიერთობა ჩვენ რუსეთთან არ გვაერთებს და მხოლოდ ძალმომრეობით აიხსნება ეს ბატონობა.

მიუხედავათ ამისა ჩვენ უნდა განვაცხადოთ (დეკლარაციით) რუსეთის მომავალ საკანონმდებლო კრებაზედ, რომ ჩვენ გვსურს რუსეთის მოკავშირეთ დავრჩეთ 1783 წ. ხელშეკრულობის საფუძველზე (ვგონებ უმეტესობა ჩვენი ხალხისა ამ აზრისა არის). ხოლო, მეორე—საქართველოს პოლიტიკური არსებობის ფორმის და მართვა-გამგეობის კითხვა, როგორც ჩვენი შინაური საქმე, უნდა გადასწყდეს თვით საქართველოშივე ჩვენ საკანონმდებლო კრებაზე.

როგორც ჩვენი ავტოკეფალიის კითხვა რუსეთში ვერ გადასწყდა, ისე ჩვენი ავტონომიის აღდგენა და მართვა-გამგეობის ფორმა რუსეთში ვერ გადასწყდება—ეს რაღაც მოწყალების ბოძება იქნება, როდესაც ჩვენი უფლების კანონიერი თამასუქი ხელთა გვაქვს. ჩვენვე საქართველოში უნდა დავადგინოთ ჩვენი პოლიტიკური და იურიდიული უფლებათა აღდგენა, როგორც ეს მოხდა ავტოკეფალიის აღდგენაში და ახალი რუსეთის მთავრობა დათანხმდა. რუსეთის საკანონმდებლო კრება ვერ გადასწყვეტს, ძალიანაც რომ უნდოდეს, რაგვარი მართვა-გამგეობა და მთავრობა გვეჭირება ჩვენ, ქართველებს და პირდაპირ ვთქოთ, რომ თუ ჩვენი მთელი ხალხის დაუკითხავად გამოგვიცხადა: ქართველებმა უნდა შეადგინოთ, გუბერნიების მაგიერ, ერთი ან ორი რუსეთის რესპუბლიკის „დეპარტამენტით“, ეს სწორეთ ისეთივე ბრძანება იქნება, როგორიც სულით-ავადმყოფმა პავლემ გამოსცა: მე მინდა საქართველო გუბერნია იყოსო! რასაკვირველია, ახლანდელი რუსეთი ასეთ პავლე-ნერონულ საქმეს არ ჩაიდენს...

ხოლო, რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ბრძნულ ანდაზებს, უნდა ვთქვათ, რომ, ეხლანდელ მდგომარეობაში, სწორედ ჩვენზედ არიან ზედ-გამოჭრილნი: კვიცის გვარზე ხტომა იმას ნიშნავს, რომ ყველა საზოგადო მომქმედი თავისი ხალხის, ქვეყნის, ისტორიის, ადათ-ჩვეულების შვილია, თავის ბუნებას და წარსულს ვერსად წაუვა, მაშასადამე, ამის შესაფერად უნდა იქცეოდეს და მოქმედებდეს. ხოლო მეორე ბრძნული ანდაზა იმას გვასწავლის, რომ ვინიცობაა საზოგადო მომქმედი კი არ მიჰყვი ფეხ და ფეხ მშობელ ხალხს, არ ისმინა და არ ირწმუნა მშობლის ხმა“, არამედ წინ გაუხტა, შეიძლება დაიღუპოს თითონაც და დაღუპოს თავის სამშობლოც... საუბედუროთ ბევრს ჩვენი დროის „თერგდალეულებს“ არა სურთ არც გვარზე ხტომა და არც დედის მიდევნა, და წინ უხტებიან ხოლმე, მაშასადამე, იმ მგლებმა, რომელნიც წარსულ საუკუნეში გვხრამდენ, ეხლა შეიძლება „შეგვჭამონ“ და სულ თავიან-ფეხიანად გადაგვყლაპონ სხვა და სხვა წყალობისა და გაბედნიერების აღთქმით... ყოვლადვე ნუ იყოფინ. დროა გონზე მოვიდეთ, რომ საშვილიშვილო ხიფათს ავცდეთ და ჩვენი ათას წლობით აგებული, ნაშენი და შენახული ქვეყანა, ჩვენივე ხელით არ დავაქციოთ...

**პროფესორი ალ. ცაგარელი.**

*) პატივცემულ პროფესორის წერილს უცვლელად ვბეჭდავთ, თუმცა ზოგი ტაქტიკური საკითხი რედაქციას სხვანაირად ესმის.

## ქართული პრესა

**მიწის „სოციალიზაცია და სოც.-დემოკრატები.**

გაზეთი „ერთობა“ ფედერალისტების სოციალიზაციას ქართველი გლეხისათვის, სრულიად გაუგებარ და მიუღებელ საშუალებად სთვლის. გაზეთის აზრით ფედერალისტებმა მიწის სოციალიზაცია რუს. სოც.-რევოლუციონერებისგან გადმოიღესო. იგი სწერს:

„მაგრამ რუს სოც.-რევოლიუციონერების მიერ ობშჩინის თაყვანისცემა საპატიებელი თუ არა, გასაგები მაინც არის, მისი ახსნა მაინც შეიძლება, რადგან სოც.-რევ-ბი ობშჩინურ ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, რადგან მათი მამამთავრები—ჩერნიშევსკი, ლავროვი, მიხაილოვსკი—მაშინ ეტრფოდენ თემურ წესებს, როდესაც თემი გაბატონებული იყო მთელს რუსეთში. ფედერალისტებს ეს გამართლებაც არა აქვთ. მათ არავითარი თემური ტრადიციები საქართველოში არ იციან, რადგან ქართველ გლეხებს არსად არ უნახავთ თემური წესები, ყველგან საქართველოს მანძილზე მიწის კერძო საკუთრებაა დამკვიდრებული. მართალია, სადღაც საინგილოში არის თემის ნასახი, თემის მსგავსება დარჩენილია მთაში, მაგრამ ქართველ გლეხკაცობის აუარებელ უმრავლესობას თემზე არავითარი წარმოდგენა არა აქვს.

და პარტია, რომელიც თავის თავს ერთად ერთს ნაციონალურს პარტიას უწოდებს, რომელიც დაუღალავად გაჰკივის ნაციონალურ ინტერესებზე, ნაციონალურ უფლებებზე, ამ პარტიას დაუდგენია შემოიღოს სრულიად უჩვეო წესები, რომლებიც საშინელს არევ-დარევას გამოიწვევს, პირდაპირ თავდაყირა დააყენებს ხალხის ცხოვრებას. სოც.-რევოლიუციონერების მხრით ეს ზომა რეაქციონურია, მაგრამ მისი ახსნაც შესაძლებელია. მაგრამ როდესაც ამავე ზომას ქადაგებენ ფედერალისტები, ეს რეაქციონერობის გარდა, უგუნურებაც არის, რადგანაც არც ისტორიაში აქვს ფესვები, არც დღეს აქვს რაიმე ნიადაგი, ამ ზომაში, მასთან ერთად, ერთნაირი სიყალბე ისმის“.

მოგვყავს ეს ამონაწერი, რადგანაც ვფიქრობთ, რომ სოციალიზმის და სოციალისტების პატენტი მარტო ფედერალისტების პრივილეგია არ არის და „ერთობაც“, თუ არა ვსცდებით, სოციალისტური გაზეთია.

* * *

**თედო ღლონტი და „ეროვნული სოციალიზმი“.**

„სახალხო ფურცლის“ ზოგიერთ თანამშრომელს ამ ბოლო დროს დასჩემდა ის ფირმა სულიერი ავადმყოფობისა, რომელსაც ფსიხიატრები „მანია გრანდიოზას“ უწოდებენ. ამ გაზეთის გუშინდელს ნომერში მოთავსებულია მეტის მეტად ბუნდოვანი წერილი ბატ. თედო ღლონტისა, სადაც სხვათა შორის შემდეგი სწერია:

„ჩვენს გარშემო პარტიათა და ჯგუფთა ჭიდილი ეროვნულ საკითხისათვის სოციალისტ-ფედერალისტთათვის არ არსებობს. ეს პარტია სდგას ვით დაუძლეველი ფალავანი, ხოლო ლილიპუტთა ბრძოლას ერთი დასასრული აქვს: სოც.-ფედერალისტთა წინაშე მუხლის მოდრეკა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას აღარ ესაჭიროება ბრძოლა სხვა და სხვა ჯგუფის დასაახლოვებლად, თვით ჯგუფთა შინაგანი ბრძოლა აიძულებს მათ სოციალისტ-ფედერალისტებისკენ გადასდგან ნაბიჯი და მით დაასრულონ სუბიექტიური მეტამორფოზა ობიექტივურ გარემოებისა“.

რაში მდგომარეობს ეს სუბიექტივური „მეტამორფოზა ობიექტური მდგომარეობისა“? ბ. თ. ღლონტი ამტკიცებს, რომ საქართველო ეკონომიურად უკან ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომ მთელი ჩვენი მრეწველობა ამზადებს მხოლოდ 12 მილიონი მანეთის საქმეს: ერის მრეწველობის უმთავრესი დარგი არაყის და ხილის წვენის დამზადებაა და ერთი ქარხანაც კი არ არსებობს რომლის წარმოება მილიონ მანეთს უდრიდეს.

რა დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს ამ წინასწარი მოსაზრებიდან? თუ ჩვენი სამშობლო ღარიბი და უკან ჩამორჩენილია, თუ ჩვენში მსხვილი წარმოება სრულიად არ არსებობს, სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელი ყოფილა ჯერ-ჯერობით: მიტომ რომ სოციალიზმის განხორციელება მისი იდეოლოგების მიხედვით ობიექტურად კაპიტალისტური წარმოების განვითარებას და მომწიფებას ჰგულისხმობს. ქართველს ერს არ ძალუძს კაპიტალიზმს თავს გადაახტეს და ნახევრად ფეოდალური წესწყობილებიდან პირდაპირ სოციალიზმის სამეფოში გადავარდეს. ასეთი სალტო-მორტალები ძმათა ესიკოვსკის ცირკშია შესაძლებელი და არა საზოგადოებრივს ცხოვრებაში. მაგრამ ბატ. თედო ღლონტს თავისი თავი უძლეველ ფალავნად მიაჩნია და დარწმუნებულია, რომ საგაზეთო წერილების შემწეობით შესძლებს ახლავე ეროვნული სოციალიზმის“ განხორციელებას.

ის ამბობს:

„ნაციონალური სოციალიზმი სახელმწიფოში, მუნიციპალური სოციალიზმი ქალაქებში, კოოპერატიზმი წარმოების და აღებ-მიცემობის ყოველ დარგში, ხოლო სოციალური აგრარიანიზმი სოფლად—აი კონტურები საქართველოსათვის საჭირო სოციალურ შემოქმედებისა“.

როგორ უნდა მოხდეს ეს სასწაულთმოქმედება, როგორ უნდა გადაიქცეს უკან ჩამორჩენილი საქართველო სოციალიზმის სამეფოდ? ბ. თედო ღლონტი უპასუხებს: „ყოველგვარი მეტამორფოზა ადამიანის გონების ნაყოფია, იგია მეფე ურთულეს არსებისა, რომელსაც ბუნება ეწოდება“. ესაა ესაა ახლად გამოცხადებული „ეროვნული სოციალიზმის“ საფუძველნი: რამოდენიმე უწვივარი პუბლიცისტის გონებაში „მეტამორფოზა“ მომხდარა და ეს ადამიანები საქართველოს არწმუნებენ, რომ ყველაფერი მზადაა „სოციალური რევოლიუციის დასაგვირგვინებლადო“. დასასრულ, ბ. თედო ღლონტი შიშობს, ბლანკისტობა არავინ დამწამოსო. ტყუილი შიშია: მისი ქადაგება ბლანკისტობა კი არა, მხოლოდ ღლონტისტობაა.

# რევოლუცია

## დეპეშები

**კერენსკის მოგზაურობა.**

**კამენეც-პოდოლსკი,** მაისის 13. მინისტრი კერენსკი სამხრეთ დასავლეთის ასპარეზის ლაშქრის დელეგატთა ყრილობაზე იყო. თავმჯდომარე მინისტრს მიესალმა და უთხრა, ლაშქარი უაღრესად გენდობათო. კერენსკიმ უპასუხა: აქ იმიტომ კი არ მოველ, რომ ორატორის გვირგვინი დავიწნა, არამედ მოველ, რომ გითხრათ, თუ თავისუფლების შესანარჩუნებლად რა უნდა ვქმნათ. ცარიზმთან ბრძოლაში მრავალი დაიღუპა. დემოკრატიას თავისუფლების და ბედნიერების მოპოვება იაფად არ უჯდება ეხლა, როცა ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ხელ-ცარიელნი არ დავრჩეთ. მე ჩემს აზრებს თავზე არ მოგახვევთ, როგორც მინისტრი, არამედ გესაუბრებით როგორც ამხანაგი, როგორც ერთი იმ ადამიანთაგანი, ვინც რეაქციის დროს სიმართლის სათქმელად სიცოცხლეს არა ჰზოგავდა. ადამიანი მხოლოდ სიმართლით და ნამუსით მოიპოვებს ცის ქვეშ ადგილს. ვიცი, თუ რა მდგომარეობაში არიან თხრილებში მყოფნი, ვიცი მათი სულიერი განწყობილება რაც სამი წლის ომს გამოუწვევია და ამიტომ ვერ ვამტყუნებ იმათ, ვისაც თანამედროვე მომენტის მნიშვნელობა ვერ შეუგნია. რუსის ხალხის შემოქმედებითი ძალა მრწამს. ის ხალხი, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა, მის გამაგრებასაც შესძლებს და არავითარ მსხვერპლს არ შეუშინდება (ხმები „არ ვუღალატებთ"). მე მრწამს, რომ ლაშქარი თვით შეიჯავრება დისციპლინით, სამშობლოს მდგომარეობას შეგნებით მოეკიდება და თავი სმეთაურებს მორჩილებით გაჰყვება. შემდეგ კერენსკი ბრუსილოვს მოუბრუნდა და უთხრა—ნუ სწუხართ, ყველა წავა იქ, სადაც თქვენ უბრძანებთო, თუნდა ხვალეო. ბრუსილოვმა იკითხა, შეიძლება იმედი ვიქონიო, რომ ლაშქარი მინისტრის ბრძანებას შეასრულებსო. ამაზე ასტყდა ტაში და ყვირილი „გთხოვთ"-ო.

**რუმინეთის ფრონტის დელეგატთა ყრილობა.**

**ოდესა,** მაისის 12. ფრონტის დელეგატთა ყრილობის მეორე დღე საორგანიზაციო კითხვებს მოუნდა და მკაცრი საქმიანობის ხასიათი მიიღო. არჩეულია პრეზიდიუმი: 5 ოფიცერი და ორი ექიმი, 3 ჯარისკაცი, 1 გლეხი და 2 მუშა. შემუშავებულია რეგლამენტი და ყრილობის პროგრამა.

**გაჩხრეკა**

**ტამბოვი,** მაისის 12. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებისა და მილიციისაგან შემდგარმა საგანგებო კომისიამ, მაისის 12, ღამით რამდენიმე სახლი გაჩხრიკა. მათ შორის ყოფილ სტატს-დამის ნარიშკინისა და ვიცე-გუბერნატორ ლიპინსკისა. გაჩხრეკა იმიტომ მოხდა, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ცნობები მიიღო, ვითომც ნარიშკინის ნათესავის, ყოფილ გუბერნატორ სტრახოვსკის, ხელმძღვანელობით ერთი ჯგუფი კონტრ-რევოლუციისთვის ემზადებაო.

**ტომა კიევში.**

**კიევი,** მაისის 12. მოვიდა საფრანგეთის სასურსათო მინისტრი ტომა. დაათვალიერა ქალაქი, ესაუბრა ფრანგ მფრინავებს და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში იყო. აგრეთვე იყო ფრანგთა ახალშენში. ტომამ სიტყვა წარმოსთქვა, საფრანგეთს დაპყრობა კი არა, არამედ ელზას-ლორენის დაბრუნება უნდაო. ეს კი ანექსია სრულიადაც არ არისო. საღამოთი ტომა ფრონტისკენ გაემგზავრა.

**კერენსკი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.**

**კამენეც-პოდოლსკი,** მაისის 13. სამხედრო და საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ დაათვალიერა სამხრეთ დასავლეთის ფრონტი და სიტყვა წარმოთქვა. დამსწრე ფრონტის დელეგატებმა განუცხადეს კერენსკის, ჯარი დაუყონებლივ დაემორჩილება კერენსკის განკარგულებას და წავა იქით, საითაც ის გაგზავნისო. ჯარი მზად არის იომოს მტკიცე ზავის შესაქმნელადაო. მინისტრს ყველგან ოვაციებს უმართავენ.

**ჯარის-კაცთა უწესოების წინააღმდეგ.**

**პეტროგრადი.** მაისის 13. სამხედრო მინისტრის ბრძანება. ომის დაწყებიდანვე რუსეთში მაგარ სასმელების გაყიდვა აღიკრძალა. მაგარი სასმელი ძველი მთავრობის ხელში ერთად ერთი მძლავრი იარაღი იყო ბნელი ძალების ასამხედრებლად. ის ათრობდა ხალხს, აძინებდა მის სინიდისს და გრძნობა-გონებას, რომ დიდხანს განეგრძო თავისი ჯალათური ბატონობა. ძველი მთავრობა მოკვდა, მაგრამ დარჩნენ მისი აგენტები, რომლებიც ცდილობენ ძველის აღდგენას და ახლის განადგურებას, მათ ნაცად საშუალებას მიჰმართეს—ხალხის დათრობას. ამ საშუალებით მათ უნდათ ხელი შეუწყონ ანარქიას, და აღადგინონ ძველი წეს-წყობილება—ჩაგვრა-მონობის, უკანონობისა და მათრახისა. მე გავიგე, რომ ზოგიერთა ჯარის ნაწილები ასეთი ბნელი ძალების წაქეზებით, ამტვრევენ ღვინის სარდაფებს, ითვრებიან და საზიზღარ უწესოებას სჩადიან. თუ ეს ასე გაგრძელდა რუსეთის ახალგაზრდა თავისუფლება სიმთვრალის მორევში მალე ჩაიხრჩობა. მე როგორც თავისუფლების დარჯი, ფლოტისა და ჯარის უფროსი მოვითხოვ ამ უწესოების შეწყვეტას. მოვითხოვ, რომ ყველა კომიტეტებმა და უფროსებმა სასტიკი ზომები მიიღონ ამ საზიზღარ უწესოების ასალაგმავად. წაუკითხონ ყველგან ეს ბრძანება. მე მოვითხოვ დამნაშავეები დაიჭირონ და პასუხის გებაში მისცენ. ღვინის ყველა საწყობებთან დააყენონ შეიარაღებული ჯარის კაცები. თავისუფლება საფრთხეშია! ჩვენი ვალია დავიცვათ თავისუფლება. სამხედრო და საზღვაო მინისტრი კერენსკი.

**ხაგლეხო ყრილობის დადგენილება.**

**სიმფეროპოლი.** მაისის 9. საგლეხო ყრილობამ დაადგინა მიწაზე კერძო საკუთრება იმ სახით მოისპოს, რა სახითაც დამფუძნებელი კრება გადასწყვეტსო. მანამდის კი საგრარო საკითხი ძალადობით არ იქნეს გადაწყვეტილიო. გადაწყვეტილია აგრეთვე მოითხოვონ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა.

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის თხოვნა.**

**კიევი.** მაისის 13. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა, პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს სთხოვა 1 მილიონი სუბსიდია, სამხრეთ-დასავლეთ ასპარეზზე აგიტაციის მოწყობისათვის.

**არმიის ყრილობა.**

**მოქმედი ჯარი.** მაისის 13. არმიის ყრილობამ მოისმინა მოხსენება არმიის მდგომარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ზოგიერთ ადგილებში დაძმობილება ისევა წარმოებს. ეს განხეთქილებას იწვევს ქვეითა ჯარსა და არტილერიას შორის. გამოირკვა აგრეთვე, რომ ალაგ-ალაგ ებრაელთა წინააღმდეგი აგიტაცია ჰხდება, რომ არმია სურსათის მხრივ სავსებით უზრუნველყოფილი არ არის და სხვაო.

**რუმინეთის ფრონტის საოლქო ყრილობა.**

**ოდესა,** მაისის 13. ფრონტის საოლქო ყრილობის მეოთხე დღე რუმინეთის ფრონტის შესახებ მოხსენებებს მოუნდა; გამოირკვა, რომ ფრონტი სრულიად მოკლებულია რევოლიუციის ნამდვილ ამბებს, რადგან ჯარის ზოგიერთი უფროსი ამ ამბებს ბეჯითადა ჰმალავდა. მათ შორის ყველაზე ღირს შესანიშნავია ამ მხრივ გენერალ მილლერის მოქმედება. მოხსენებლებმა გამოსთქვეს ერთხმად სურვილი, რომ სასანიტარო ზომები იქმნეს მიღებული, საჭიროდ სცნეს ფრონტზედ აგიტატორების გაგზავნა და განაცხადეს თუ რა დიდს როლსა სთამაშობს არმიის კომიტეტი. აღნიშნეს აგრეთვე, რომ დეზერტირობამ ძალიან იკლო.

**ლეიტენანტი შმიდტის ნეშტი.**

**სევასტოპოლი,** მაისის 18. სრულს 2 საათზე ჰორიზონტზე გამოჩნდა კრეისერი „მარია", რომელსაც ლეიტენანტ შმიდტის ნეშტი მოჰქონდა. დროშები ძირს დაუშვეს. ზარბაზნის სროლით მიესალმნენ. გრაფის ნავთსადგურთან ორი ნავი გაემართა; კუბოების გადმოსაზიდავად. ნაპირზე ქალაქის სამღვდელოება შეკრებილიყო ეპისკოპოზ სილვესტრის მეთაურობით. ქუჩები ხალხით გაივსო. ჯარი დროშებითა და სამგლოვიარო ალმებით იდგა. პროცესიის წინ ორასზე მეტი გვირგვინი მიაქვთ. კუბოს ასზე მეტი დელეგატი მისდევს. წინ მიუძღოდა ამირბარი კოლჩაკი თავის შტაბით. კუბო მეზღვაურთა აფიცრობას და მუშებს მიჰქონდათ. ცხედარს უკან მისდევდა შმიდტის ვაჟიშვილი. სამგლოვიარო წესიერება იყო.

**პურით მოვაჭრეთა ყრილობა**

**მოსკოვი,** მაისის 12. (დაგვიანებულია) პურით მოვაჭრეთა ყრილობა უკვე დამთავრდა. ყრილობამ მომენტის შესახებ რეზოლიუცია მიიღო. იგი იმ აზრისაა, რომ რუსეთში უპირველესი საკითხი, მტკიცე ზავის შესაკვრელად და მოკავშირეებთანაც პირნათლად გამოსასვლელად, პოლიტიკური საკითხია. ამ საკითხმა რუსეთის ერებს ხელი უნდა შეუწყოს თავისუფლებისა და თვითგამორკვევაში. რუსეთის ინტერესების დასაცველად კრებას მიაჩნია პარლამენტარული რესპუბლიკა, ფართო თვითმართველობის შემოღებით. ყოველი სოციალისტური საკითხი ადგილობრივვე იქნება გადაჭრილი, რასაც დასტური უნდა დასცეს მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ. მანამდე კი მშვიდობიანობის დასამყარებლად საჭიროა ადრე და მალე მთლად მოისპოს რუსეთის ანარქია. ეს კი მაშინ შეიძლება თუ ავტორიტეტით ძლიერი მთავრობა გვეყოლება. პურის საკითხის შესახებ კრებამ შემდეგი განმარტა: თუ პურის მონოპოლია იქმნა შემოღებული, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საკითხი მჭიდროდ დამოკიდებულია ომის მსვლელობასთან. დღეს ტრანსპორტისა და ფულის საკითხი მწვავე საკითხია რუსეთისთვის. ამიტომ პურზე მტკიცე ფასების შემოღებას უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ სხვა საქონელზედაც, რაც კი გლეხობას პირველ საჭიროებად მიაჩნია, ასეთივე მტკიცე ფასები იყოს შემოღებულიო.

**მოსკოვის გუბერნიის სხვა და სხვა კომიტეტების ყრილობა.**

**მოსკოვი,** მაისის 12. დასრულდა მოსკოვის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრისა და ოლქის კომიტეტების ყრილობა. ყრილობაზე გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლუცია: „ყოველ მხრით ხელი შევუწყოთ ახალ მთავრობას პურის მონოპოლიის განხორციელებაში, რათა პური სწორად იქმნეს განაწილებული მცხოვრებთა შორის მტკიცე ფასების მიხედვით. ამასთანავე მოითხოვენ, რომ ყველა საჭირო ნივთზეც ასეთივე მტკიცე ფასები იქმნეს შემოღებული. რადგანაც ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმე პირობებში ჩავარდა, საჭიროდ მიგვაჩნია გლეხობამ გადასახადები დაუყოვნებლივ შემოიტანონ. გარდაწყვეტილია სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ცხარე სასმელებით ვაჭრობას. კრება მხურვალედ ეგებება კოალიციურ მთავრობას, აღუთქვამს ყოველ მხრით ხელი შეუწყოს მის მოქმედებას და მით ძირშივე ამოაგდოს კონტრ-რევოლუციის შესაძლებლობა. ყრილობას იმედი აქვს ნელ-ნელა რეფორმები იქმნება შემოღებული, რაიც საბოლოოდ უნდა დამტკიცებულ იქმნეს დამფუძნებელი კრების მიერ. ზავის ჩამოსაგდებად მცხოვრებნი მზად არიან შემდეგაც მსხვერპლი გასწირონ და მთავრობასთან ერთად იარონ.

**გლეხების და სამღვდელოების უთანხმოება.**

**რიაზანი.** მაისის 13. სოფლებში გლეხებსა და სამღვდელოების შუა უთანხმოება ხდება. გლეხებს აღარ სურთ მღვდლებს ჯამაგირი აძლიონ. საეკლესიო მიწები მრავალ ადგილას გლეხებმა მიისაკუთრეს და დახნეს.

**ექიმის დათხოვნა.**

**სუმა.** მაისის 13. სასოფლო საზოგადოების („ვოლოსტის") კომიტეტმა სამსახურიდან დაითხოვა ექიმი, რომელიც მემამულეებს სწამლობდა.

**საალყო წესების მოხსნა.**

**ენისეისკი.** მაისის 13. 10 მაისიდან ქალაქში საალყო წესები მოხსნილია.

**ჯარისკაცთა მანიფესტაციები.**

**გომელი.** მაისის 14. შეიარაღებულ ჯარისკაცთა მანიფესტაციები გაიმართა. პლაკატებზე ეწერა: შავო რაზმელნო, შიშითა ძრწოდითო!—ძირს ანარხია, გაუმარჯოს რევოლიუციონურს არმიასო!

**გლეხთა ყრილობა.**

**პეტროგრადი.** მაისის 13. გლეხთა ყრილობამ დღეს დაასრულა კამათი ომის შესახებ. გრძელი სიტყვა წარმოსთქვა პირველ სათათბიროს ყოფილმა დეპუტატმა ანიკინმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ ომის მიზეზი გერმანეთია, რომელიც ომისთვის დიდი ხანია ემზადებოდა და კიდეც სწყუროდა მისი მალე დაწყებაო. გერმანეთის სოც.-დემოკრატიამ არა იღონა-რა ამ კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ანიკინს სიტყვის თქმაში ხელს უშლიდა კრების წევრთა ერთი ჯგუფი. კრებამ რეზოლიუცია გამოიტანა, რომელსაც ბევრი რამ საერთო აქვს ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობაზე გამოტანილს რეზოლიუციასთან. ბოლშევიკთა რეზოლიუციას მხოლოდ 14 კაცმა დაუჭირა მხარი. აქა-იქ სურვილი გამოითქვა თეთრ ბილეთიანები ხელახლად შემოწმებულ იქმნენ, თუ რომ სამხედრო რაიმე სამსახურს არ უწყობენ ხელსაო. ამასთანავე ითხოვონ ნიკოლოზ რომანოვი ციხეში იქმნეს დაპატიმრებულიო. ეს საკითხები შემდეგი კრებისთვის გადასდეს. კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლიუცია სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

**მე-3-ე სათათბიროს წევრი გრიშკინი.**

**ნიჟნინოვგოროდი.** მაისის 13. მუშათა საბჭოს დეპუტატებმა ცნობა მიიღეს, რომ მესამე სათათბიროს წევრი გრიშკინი ხალხში დადის და აცხადებს, ახალს მთავრობას მხარს ნუ უჭერთო.

**უწესოება.**

**არზამასი.** მაისის 13. უცნობნი დაეცნენ სახაზინო ღვინის საწყობს. ყარაულები შენიშნეს თუ არა, მიიმალნენ.

**ხალხი და ახალი მთავრობა.**

**ირკუტსკი.** მაისის 13. ბურიატელ ხალხმა საზოგადო ყრილობის დროს დაადგინა ახალ მთავრობას მხარი დაუჭიროთო.

**იაიცკის ყაზახები.**

**ურალსკი.** მაისის 13. სამხედრო დამფუძნებელს კრებაზე იაიცკის ყაზახთა ჯარების წარმომადგენლებმა დაადგინეს, ახალს მთავრობას სრული უფლება ეძლევა სახელმწიფოს განმგებლობისაო; იგი უნდა ჰსარგებლობდეს ხალხის ფართო ნდობით. ყრილობას უადგილოდ მიაჩნია ამდენი დავი-დარაბა პარტიულს ნიადაგზე, მაშინ როდესაც სამშობლო განსაცდელშია და მთელი ქვეყანა ანარქიამ მოიცვა, დაღუპვის გზაზე დამდგარაო. რუსეთის ამ საშინელ ნგრევას უნდა მოეღოს ბოლო. საჭიროა ენერგიული და ძლიერი მთავრობა მოპოვებულ თავისუფლების განსამტკიცებლად. დროა გონს მოვიდეთ, თორემ შეიძლება შემდეგ მეტად გვიან იყოს. ძირს ბრძოლის ასპარეზზე მტრისგან მოგზავნილ დელეგატებთან ძმობა-ერთობის შეფიცება. სირცხვილი დეზერტირებს. გვახსოვდეს, რომ ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს მხოლოდ ერთი ბრძოლის ასპარეზი გვაქვს. მცხოვრებნი მოვალენი არიან ჯარს პური მიაწოდონ, ფული და საქონელი. კრება საბოლოოდ გამოსთქვამს იმ აზრს, რომ ყველანი მზად ვართ სამშობლოს სულით და ხორცით შევეწიროთო. იგი მოუწოდებს რუსეთის მოქალაქეთ ერთობისაკენ იმ იმედით, რომ ეს მოწოდება სათანადო გამოძახილს მოიპოვებს როგორც ბრძოლის ველზე, ისე კაზაკთა ყველა ჯარებში, იქმნებიან რუსეთის შუაგულში თუ ციმბირსა და მცირე აზიაში.

**ცარიცინში მომხდარი უწესოების გამო.**

**ცარიცინი.** მაისის 13. „ცარ. ვეს." დაბეჭდილია ანანისა, ჩელიაბინისა და ირბიტის პოლკების ჯარისკაცთა წერილი: ამხანაგო ჯარისკაცებო, გულითად სალამს გიძღვნით. გუშინ გაზეთში წავიკითხეთ თქვენი ამბავი, ღვინის სმა მოგისურვებიათ. თუ ეს ასეა, გამოეშურეთ ბრძოლის ველისკენ, მეგობრებო, აქ მეტად ბევრი ღვინოა, თანაც იაფი. ნუ გვაწითლებთ თქვენი საქციელით დედა-რუსეთის წინაშე. რატომ ჰღუპავთ ახალგაზრდა რუსეთის თავისუფლებას? გონს მოდით. მოდით აქ. ბრძოლისა ნუ გეშინიათ. მტერი არც ისე საშიშია, როგორც გგონიათ...

**სააგრარო მოძრაობა.**

**არლატოვი.** მაისის 14. თავ. ზვენიგოროდსკის მამულში აგრარულს ნიადაგზე უწესოება მოხდა. მუშათა საბჭოს დელეგატი სასწრაფოდ იქმნა გაგზავნილი უწესოების ჩასაქრობად.

ასეთივე ამბავი ჰხდება ჟიტომირის გუბერნიაში. ხალხი ატყვევებს მემამულეებს. მილიცია არ არის. არავინ უწყის რუსეთის საერთო მდგომარეობა. თავნებობა და თვითმოქმედება საზღვარს გადასცდა.

**ბრეშკო-ბრეშკოვსკაია.**

**სიმფეროპოლი.** მაისის 14. აქ მოვიდა ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, რომელმაც ჯარებს მხურვალე სიტყვით მიჰმართა: რევოლიუციონური არმია სიმამაცეს მოიკრებს და გარდასალახს გარდალახავს. მისი სიტყვით ხსნა საზოგადო შეტევით შეიძლება, ზავს ამ გზით მივაღწევთო.

## მინ. სკობელევის სიტყვა

**პეტროგრადი,** მაისის 13. ქაღალდის ფულის გამოშვება ხალხის მოტყუება იქმნება. უნდა რეალი ღირებულებანი შევქმნათ, მაგრამ ეს დღისა და კვირის საკითხი კი არ არის, არამედ მთელი თვეებისა. ჯერჯერობით ფული უნდა გამოტანილ იქმნეს ბანკებიდან. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალვე გავაღოთ მათი კასები და შკაფები. სხვა საშუალებანიც მოგვეპოვება. ეს გახლავთ სამხედრო ზე მოგება და გადასახადები. მწარმოებელთაგან უნდა გარდასახადები წარსული წლიდანვე მივიღოთ. დროებითმა მთავრობამ მიანდო ფინანსთა მინისტრს შეიმუშაოს საგანგებო კანონ-პროექტი. სამხედრო გარდასახადები ას პროცენტამდე გადიდებულ იქმნეს. რომ შარშანდელი წლის შემოსავლიდანაც მივიღოთ სარგებლობა, საჭიროა გარდასახადები გაიწეროს შემოსავლის კვალობაზე. შესაძლებელია ისიც, რომ კაპიტალისტებს წინადადება მივცეთ იმუშავონ უმოგებოდ. როდესაც სახელმწიფო მიიღებს ფულს, მალე იგი მოაწყობს ხელფასისა და შრომის პირობებს. ამასთანავე საჭიროა მოეწყოს შრომის ორგანიზაცია, მოისპოს სამკაულთა წარმოება. უმთავრესად უნდა მოეწესრიგდეს რკინა-ლითონის წარმოება და მთის მრეწველობა. ჩვენ გვწამს, რომ ხალხის დახმარებით რუსეთის რევოლუცია გაუძლებს სამეურნეო აწეწილ-დაწეწილს საქმეს და მალე ყოველისფერი მოჰგვარდება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ ყველანი დავძღებით, მოხდება ისიც, რომ საჭმელს სრულად ვერ მივიღებთ, მშივრები ვიქნებით, მაგრამ ის კი იქნება, რომ ყველა თანაბრად მიიღებს. რამდენადაც ადრე დავამთავრებთ ომს, იმდენად მალე მოეღება შიმშილს ბოლო. რუსეთის რევოლუცია პირდაპირ ამოღებულ დანისპირისკენ მიისწრაფვის. უკვე უფსკრულის პირს წარვდექით. ერთი ყალბი ნაბიჯი და დაიღუპება რევოლუციის ნაამაგდარი. მაგრამ გვწამს, რომ საერთაშორისო დემოკრატია დააჩქარებს ზავს, იკისრებს საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩვენს ინიციატივას შეუძლიან ყველა ქვეყნის სოციალისტების გაერთიანება. ჩვენ ბევრი რამ საკითხები გვაქვს გარდასაწყვეტი: მიწისა პირველი და მეორე უდიდესი—თვითმმართველობის მოწყობა, მაგრამ იმედია, ერთიც და მეორეც სამართლიანად იქმნება გადაჭრილი...

## გაზეთებიდან.

**ლენინი და ანარხისტები**

პეტროგრადის გაზეთებში შემდეგი წერილი იყო მოთავსებული:

„ამ ბოლო დროს ლენინის გამოსვლებს უკავშირებენ ანარხიზმს და ამის შედეგი იყო, რომ მრავალ სატახტო გაზეთში დაიბეჭდა წერილები ანარხისტების წინააღმდეგ.

ჩვენ კი საჭიროდ ვსცნობთ ვაცხადოთ, რომ ლენინი მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტია, ამიტომ ის არც სახელმწიფო სოციალიზმს იცავს და არც ნამდვილ სოციალ-დემოკრატების მიმართულებას. ამ შემთხვევაში ის ანარხიზმსაც არ უნდა სცნობდეს. მის გზებს ჩვენ სრულებით არ ვიცავთ. ამას გარდა მრავალი ანარხისტი ლენინის გერმანეთზე გამოსვლას ცუდი თვალით უყურებს.

ასე, კვლავ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ პროტესტს ანარხიზმის ცუდათ გაგების შესახებ და ლენინის სახელის ანარხიზმის სახელთან დაახლოვების შესახებ.

წერილს ხელს აწერს პეტროგრადის ანარხისტების კლუბის მდივანი.

## ეროვნული საკითხი

დეპეშები

**მასწავლებელთა ყრილობა.**

**ვორონეჟი.** მაისის 13. მასწავლებელთა ყრილობაზე დაადგინეს: რადგანაც სწავლა-განათლება მხოლოდ საეროვნო სკოლებში იქნება, ამიტომ ყველა ეროვნების სკოლა უნდა დაემორჩილოს სახალხო განათლების სამინისტროს, რომელიც დაფუძნებული იქმნება დემოკრატიულ პრინციპებზე და თავის შემადგენლობაში იყოლიებს სპეციალ კოლეგიებს, რომ ყველა ჯურის სკოლების საკითხები სათანადოდ იქნეს გადაჭრილიო.

**პოლონეთი.**

**მინსკი.** მაისის 13. პოლონელ სოციალისტების კრება დაიწყო. განსარჩევია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალში თავისუფალი პოლონეთი.

## გაზეთებიდან.

**თურქთა ფედერატიულ პარტიის პროგრამა.**

1) სახელმწიფო წესწყობილება: პარტიის მიზანია ა) დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსება რუსეთში ეროვნულ-ტერიტორიალურ - ფედერატიულ პრინციპზე. ბ) დაუყოვნებლივ მოთხოვნა ტერიტორიალური ავტონომიისა ადერბეიჯანის, ყირგიზეთის და ბაშკირეთისა. გ) ეროვნული ავტონომია ყირიმის და ვოლგის სანაპიროებში მაჰმადიანებისა.

2) ახლავე ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რათა არა თურქთა ერებს (მთიელებს, ქურთებს, აჭარლებს) მიეცეთ ავტონომია.

3) სარწმუნოებრივი საკითხი: რელიგიურ საკითხში რუსეთის ყველა მუსულმანები უნდა გაერთიანდენ ერთ მუფტის ხელქვეითობით, სათავეში მუფტიატი იდგება. მუფტიატის წევრებათ ყველა მუსულმან ერის წარმომადგენლები იქნებიან. აქ არა თურქთა შთამომავალნიც იგულისხმებიან (აჭარლები, მთიელები და ქურთები).

**ებრაელთა დადგენილება.**

**კიევი.** მაისის 14. ებრაელებმა საზოგადო კრებაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: რუსეთში მცხოვრებ ყველა ეროვნებას ნება ეძლევა ოფიციალ რუსულ ენის თანასწორი იყოს სამშობლო ენაცაო, როგორც სკოლებში, ისე საადმინისტრაციო დაწესებულებათა შორის, საზოგადო კრებებზე, საზოგადოდ მთელს საზოგადოებრივ თუ კერძო ცხოვრებაშიო. თვითეულს ერს სახელმწიფო ხარჯით ნება უნდა მიეცეს საკუთარს ენაზე მიიღოს სწავლა-განათლებაო".

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა**

**პეტროგრადი,** მაისის 16. ოფიციალი. რუმინეთისა და დასავლეთის ფრონტები. ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** ვანის სამხრეთით ოსმალებმა რამდენჯერმე სცადეს ჩვენ სადარაჯოებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** ერთს ჩვენ ჰაეროპლანს, დაზვერვის დროს, მტრის სამი ფოკერი დაეცა. რამდენიმე წუთის ბრძოლის შემდეგ ჩვენი მანქანა დაზიანდა და ფოკშანის ჩრდილო-დასავლეთით ბილიერიჩის რაიონში ჩამოვარდა.

მფრინავები უნტერ-ოფიცერი ბოგელი და პოდპორუჩიკი ტარხოვი როგორც ჩანს დაიღუპნენ.

**შავ ზღვაზე.** ანატოლიის ნაპირთან ჩვენმა გემებმა გადასვეს ერთი რაზმი, რომელმაც სამსუნის აღმოსავლეთით, ჩივასთან გაანადგურა ჟანდარმთა ტელეგრაფიანი და ტელეფონიანი სადარაჯო. იქვე მოსპეს ხორბლის საინტენდანტო საწყობი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიჟი.** მაისის 13. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** ასპარეზზე თითქმის ყველგან საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში, ვოგულიონის დასავლეთით არტილერიის გაძლიერებული მოქმედებაა. მონგოს მთისა და ტეტონის მიდამოებში, ვოგალიონის დასავლეთით, მტერმა რამდენჯერმე იერიში მოიტანა ჩვენ სადარაჯოებზედ სირნის სამხრეთით, მაგრამ ჩვენმა ბატარეიამ მტრის ჯგუფები გაჰფანტა.

**მფრინავთა მოქმედება.** მაისის 10, 11 და 12 ჩვენმა მფრინავებმა მტრის 10 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და 17 დააზიანეს. ჰაეროპლანები გერმანელთა ჯარის ხაზის მიდამოებში დაეშვნენ. სადგურებში მარსში, ლატურში, შამბლე ვუზიე და ანინში ჩვენმა მფრინავებმა 13.000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარეს და მტერი დიდათ დააზიანეს.

**პარიჟი,** მაისის 14. **საღამოს ოფიციალი ცნობა.** შამპანში ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ, მტერმა ორი იერიში მოიტანა: ერთი ტეტონის წინააღმდეგ, მეორე ტეტონის აღმოსავლეთით. მტერმა ჩვენი ხაზის ერთი ნაწილი დაიჭირა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუ ვაგდეთ. დღისით მოწინააღმდეგემ მესამე იერიში მოიტანა, მაგრამ ისიც უკუ ვაგდეთ. შამპანის დანარჩენ პუნქტებზე საარტილერიო ბრძოლაა.

**მახლობელი აღმოსავლეთი.** ინგლისელმა მფრინავებმა პეტრიას ჩრდილოეთით ლოვანოვოს ყუმბარა დაუშინეს. დანარჩენ ფრონტზედ შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**პარიჟი,** მაისის 14. **დღის ოფიციალი ცნობა.** წიხქვილ ლაფოს ჩრდილოეთით მტრის იერიშები ზარბაზნის სროლით უკუვაგდეთ. კალიფორნიის ზეგანზე მურუასა და მარონვილეს სამხრეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**მფრინავთა მოქმედება.** მაისის 13 ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 4 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. მაისის 14 ჩვენმა საჰაერო ესკადრამ მტრის ბანაკში და სამხედრო შენობებში 3300 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარა.

**პარიჟი,** მაისის 15. **დღის ოფიციალი ცნობა.** შამპანში ტეტონის პოზიციის წინააღმდეგ მტერმა სიბნელეში ორჯელ მოიტანა იერიში, მაგრამ უკუ ვაგდეთ. უკუ ვაგდეთ მესამე იერიშიც. მტრის ცდამ ბლონის სიმაღლის დასაპყრობად უნაყოფოდ ჩაიარა. მაასის მარცხენა ნაპირზე, მაღლობ „304" მიდამოებში და მორტომთან მტრის არტილერია ენერგიულად მუშაობდა. დანარჩენ ფრონტზედ შესანიშნავი არაფერი მომხდარა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენი მფრინავები მეტად ინტენსიურად მოქმედებენ. მაისის 14 დღით და 15 ღამით ბაკკარის მიდამოებში მტრის მფრინავებმა ყუმბარა ჩაჰყარეს. ზარალი მცირეა. ჩვენმა საჰაერო რაზმებმა რამდენიმე თავდასხმა მოახდინეს და მტრის სამხედრო შენობებში 7000 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალა ჩაჰყარეს. ტიონვილის რაიონში მტრის 9 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ და ორი დავაზიანეთ.

### ბრიტანეთის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი,** მაისის 14. **ოფიციალი.** სენ-კანტენის ჩრდილო-დასავლეთით იერიში მივიტანეთ, მტერს თავს დაესხით და 18 ჯარის კაცი წამოვიყვანეთ. ლოოსთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. სკარპის სამხრეთით მოწინაალმდეგის არტილერია ენერგიულად მუშაობდა.

**ლონდონი,** მაისის 13. **დილის ოფიციალი.** მოწინაალმდეგის იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარეს. გუშინ საღამოს ჩვენ გავაუმჯობესეთ ჩვენი მდგომარეობა გედეკურის ჩრდილოეთით და არმანტიერის აღმოსავლეთით სკარპის მარჯვენა ნაპირზე მოწინააღმდეგის არტილერია მედგრად უშენდა ჩვენს ფრონტს კრუაზელსა და სკარპის შუა.

### ბელგეთის ბანაკის ცნობა.

**ჰავრი,** მაისის 14. **ოფიციალი.** რამსკაპელსა და დიქსმიუდეს მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა და ყუმბარის მტყორცნელთა მუშაობაა.

**ჰავრი.** მაისის 18. **ოფიციალი.** წინასწარი მომზადების შემდეგ, მაისის 13 ღამით, მტერმა მედგარი იერიში მოიტანა მაგრამ უკუ ვაგდეთ. რამსკაპელეს მიდამოებში, დიუქსმუდეს დასავლეთით სტეენსტრედ და გეტზასასთან საარტილერიო ბრძოლაა.

### იტალიის ბანაკის ცნობა

**რომი.** მაისის 14. **ოფიციალი.** კარსოს დასავლეთით, ზეგანზე ჩვენი ფრონტის ხაზი გავაფართოვეთ. სანჯოოვანის ჩრდილო-დასავლეთით მონფალკონე—დუილოს რკინის გზის ხაზს გავსცდით და მიადატცის სამხრეთ-დასავლეთით იერიშით დავიპყრეთ გამაგრებული მაღლობი „145“. ამასთანავე ტყვედ წამოვიყვანეთ 812 კაცი. კლავის რაიონში მდ. პალიოვის ზემო ნაწილი დავიჭირეთ და ტყვეთ 438 კაცი წამოვიყვანეთ, მათ შორის 10 ოფიცერია.

**რომი.** მაისის 14. **ოფიციალი.** მეორე დღეა კირსოში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ზეგანის სამხრეთ ნაწილში ჩვენი პოზიცია ფართოვდება. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა ჯამიონთან მედგარი იერიშის შემდეგ აიღო მოწუელკონე—დუინოს და სანჯიოვანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გამაგრებული პუნქტი. პლავის რაიონში ქვეითმა ჯარმა იერიშით აიღო პალიოვის ზემო ნაწილი. გორიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენი მფრინავები კვლავ ყუმბარას უშენენ სანტალუჩიოსა და ტოლმინოს რკინიგზის სადგურებს. მოწინააღმდეგის ერთი ჰაეროპლანი ბრიტოვთან ჩამოვაგდეთ, მეორე ცეცხლ-მოკიდებული ვერტოიბისთან ჩამოვარდა.

### გერმანეთის მთავრობის განცხადება

**სტოკჰოლმი.** მაისის 12. (დაგვიანებულია). გერმანეთის მთავრობამ განაცხადა, ხმელთა შუა ზღვაში გოსპიტალის გემებს აღარ გავუშვებ, რადგან საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი ამ გემებს მეომარ ჯარის გადასაზიდათ ჰხმარობსო. გავუშვებ მხოლოდ იმ გემებს, რომელნიც საბერძნეთის პორტ კალამატიდან გავლენ და რომელთა წასვლა 6 კვირის წინ უნდა გვეცნობოსო.

### გერმანელი და ავსტრიელი პარლამენტარები.

**იასსა.** მაისის 12. ამ ბოლო დროს იასაში ბევრი გერმანელი და ავსტრიელი პარლამენტერი მოვიდა ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად. მათ ლაპარაკს პროვოკაციული კილო აქვს.

### ლლოიდ-ჯორჯის განცხადება

**ლონდონი.** მაისის 12. თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, ამ ბოლო კვირეებში წყალქვეშათა წინააღმდეგი ზომები უფრო ნაყოფიერი იყო ვიდრე სხვა დროს აო, ამიტომ საზღვაო ზარალი საგრძნობლად შევვიმცირდაო.

### ვენიზელოსის მომხრე სამღვდელოება

**სოლუნი.** მაისის 11-ს დამთავრდა ვენიზელოსის მომხრე სამღვდელოების ბჭობა. 23 ეპისკოპოსმა მინისტრთა და მრავალ მოკავშირეთა და ბერძენ ოფიცერთა თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა ვენიზელოსის მომხრე მთავრობის გამარჯვებისათვის. სოლუნის მიტროპოლიტმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ძველი საბერძნეთის მომხრე ეპისკოპოსები გაჰკიცხა.

### ცრუ ხმები ოსმალეთში.

**სოლუნი.** მაისის 12. ეგეის ზღვის კუნძულებიდგან გამოქცეულნი იუწყებიან, რომ ოსმალეთის ყველა ქალაქში გაკრულია ოფიციალი ცნობა, ვითომ გერმანელ ჯარს პეტროგრადი დაეპყრას და რუსეთი იძულებულია ზავი მოითხოვოსო.

### დაღუპული გემები.

**ჰააგა.** მაისის 13. უკანასკნელს დღეებში ოთხი გემია დაღუპული: „ფორვერსტი“, „ალბერტინა“, „ბერნსოსე“ და „ელვე“.

### კონტრიბუცია ბელგიაში.

**სტოკჰოლმი.** მაისის 13. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ბელგიის გერმანელმა გენერალ-გუბერნატორმა გერმანელ ჯარის შესანახად მცხოვრებელთ ყოველთვიური სამხედრო კონტრიბუცია დაადო, 16 მილიონი ფრანკი.

### პურის მოტანა.

**ტამბოვი.** მაისის 11. მაზრის შიდა სოფლებიდან დიდძალი პური მოაქვთ ჯარის საჭიროებისათვის.

**სუმა.** მაისის 13. მაზრის სოფლებიდან ცნობები მოდის, რომ ჯარის საჭიროებისთვის დიდძალი პური მოაქვთო.

### დეზერტირობა.

**მინსკი.** მაისის 13. უკანასკნელ დროს დეზერტირობა ძლიერ გახშირდა. პოლკის კომიტეტში ყოველ ღონეს ხმარობენ მასთან საბრძოლველად. თუ დეზერტირები 15 მაისისთვის არ გამოცხადდებიან, მათ სასჯელი ელის. ერთი დივიზიის უფროსმა გადაწყვიტა დეზერტირებს საარჩევნო ყრილობებში მონაწილეობის მიღების უფლება წაართვას.

### გენ. დრაგომიროვის სიტყვა.

**რიგა.** მაისის 13. ჩრდილოეთ ფრონტის მთავარსარდალ დრაგომიროვმა მუშ. და ჯ.-კ. დეპ. მხრით ყრილობას შემდეგის სიტყვით მიჰმართა: ცენტრალ იმპერიების იმპერიალიზმი—ჩვენი წყლულია. საფრანგეთ-ინგლისამერიკის დემოკრატია ჩვენს მხარეზედ არის. ჩვენ უნდა ვეცადნეთ შევქმნათ დემოკრატიის თავისუფლება და არა ბეტმან-ჰოლვეგისა და ვილჰელმისა. სეპარატიული ზავი ვერ უზრუნველჰყოფს თავისუფლებას. ჩვენ უნდა ვუშველოთ ჩვენს მოკავშირეთ და გავანადგუროთ გერმანელთა იმპერიალიზმი. ჩვენ დიდი შეცდომა მოგვივიდა როცა გერმანელთა დაძმობილებას ნება დაჰვრთეთ. გერმანელთა დაძმობილებამ ფრანგთა შეჩერება გამოიწვია. საფრანგეთის გამარჯვება დიდია. საფრანგეთმა ჰინდენბურგის რკინის ხაზი გაარღვია. გერმანეთის პარლამენტიორები $1^1/_2$ თვის ზავს გვთხოვენ, რათა ჯერ დასავლეთი მოსპონ და მერე ჩვენ მოგვესივნენ. თუ ჩვენ მთელს ფრონტზე მედგრად შევუტევთ, ზავიც რამდენიმე კვირის შემდეგ ჩამოვარდება, თუ არა და ომი რამდენსამე წელს გაგრძელდება და შთამომავლობის წყევას დავიმსახურებთ.

### ინგლისი და იაპონია.

**ლონდონი.** მაისის 14. რეიტერის სააგენტოს ტოკიოდან ატყობინებენ: საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ომის დაწყებისას ინგლისის და იაპონიის ფლოტებმა ხელშეკრულობა დასდვეს სავაჭრო გემების დაცვის შესახებ. იაპონიის ფლოტმა აღმოსავლეთი ოკეანე მტრისგან მთლად გასწმინდა. ინგლისისის მოთხოვნილებით იაპონიის კრეისერები და კონტრ-ნაღმოსნები ინდოეთის ოკეანეში ჰმოქმედებენ. ამას წინად იაპონელთა ერთი ესკადრა ხმელთაშუა ზღვაზე გაიგზავნა, მეორე ატლანტიიდან ოკეანეს სამხრეთ ნაწილებში ჰმოქმედობს. იაპონელთა ფლოტი კეთილსინიდისიერად ეხმარება მოკავშირეთა ფლოტებს.

### რიბოს სიტყვა

**პარიზი.** მაისის 9. (დაგვიანებულია) დეპუტატთა პალატაში რიბომ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „სიამოვნებით და შიშით ვადევნებდით თვალყურს რუსეთის რევოლიუციის მსვლელობას და ძალაუნებურად ჩვენს თავს ვეკითხებოდით, შესძლებს თუ არა ეს დიდებული განმანთავისუფლებელი მოძრაობა ახალი მთავრობის შექმნას, რაიც რევოლიუციის გამარჯვებისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელია. ჩვენი შიში არ გამართლდა. რუსეთის დიდებულმა შვილებმა ყოველი დაბრკოლება დასძლიეს და ახალი მთავრობა დღეს თამამად გვაუწყებს: არა გვსურს სეპარატიული ზავიო და სრულს ნდობას უცხადებს მასთან ხელიხელ ჩაკიდებულ საფრანგეთს. და მეც ჩემი სამშობლოს მხრივ სიხარულით ვეგებები მოკავშირის ამ ნდობას და მადლობას. ჭეშმარიტად საფრანგეთი რუსეთთან ერთად ჩაება ომში და დღესაც ჩვენ და დიდი ბრიტანეთი რუსეთს ხელს შევუწყობთ ძლიერი იერიშების დაწყებაში. არა, ეხლა სეპარატიულ ზავზე ლაპარაკი არ შეიძლება. ხოლო, რაც შეეხება ზავის პირობებს, აქ კონტრიბუცია აუცილებელია, კონტრიბუცია არა იმ სახით, როგორსაც გამარჯვებული დამარცხებულს გადაახდევინებს ხოლმე, არა, კონტრიბუცია ზარალის ერთგვარ ამანაზღაურებელი, რადგან ჩვენი პროვინციები ომის საჭიროებით კი არ არის აოხრებული, არამედ იმ პირთა ბარბაროსობით, რომელნიც ცივილიზაციაზე ჰლაპარაკობენ. ვინც რა უნდა სთქვას, მაგრამ ეს აუცილებელია სამართლიანობისათვის და არა იმიტომ, რომ ვისიმე დაჩაგვრა გვინდა. არა, დღეს რუსეთის დემოკრატიამ საყოველთაოდ განაცხადა, ჩვენ ამ ომში დაპყრობის პოლიტიკას არ ვაწარმოებდითო, მისი აზრით ომი საჭიროა ხალხთა თავისუფლების დასაცავად. აი ოფიციალი კილო რუსეთის მთავრობისა—და არც საფრანგეთსა ჰსურს რომელიმე ხალხის დაჩაგვრა. საფრანგეთი თავის მტერსაც კი არ დასჩაგრავს. მას აზრადა აქვს ხალხთა თავისუფლების განმტკიცება. ამის მიღწევა კი მტკიცე ზავით შეიძლება. ზავი მხოლოდ სამხედრო დესპოტიზმის მოსპობით განხორციელდება. დღესდღეობით კი თხრილებისაკენ ვისწრაფვნოთ და შეერთებულის ძალით ყოველივე დაბრკოლება მოვსპოთ და მტერს ზავის მოთხოვნა ვაიძულოთ.

# რუსეთი და უცხოეთი

### საზიზღარი საქციელი.

**პოლტავა,** მაისის 8. (მოსულია ფოსტით) მოთამაშე ბავშვს მიუახლოვდა სალდათი. ოთხი წლის ქალს 10 კ. მისცა და თან წაიყვანა. შემდეგ გამოირკვა, რომ საზიზღარი საქციელი ჩაედინა. ცოცხალ-მკვდარი ბავშვი ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ნახეს. ბოროტ-ჩამდენი აღმოჩნდა სათანადო პოლკის ჯარის კაცი სიბაევი.

### ყაჩაღთა დახოცვა.

**სარატოვი,** მაისის 13. სამი შეიარაღებული ყაჩაღი, რომელთაც ვასილადის საკანდიტეროდან რამდენიმე ათასი მანეთის ნივთი გაიტაცეს, მოკლულ იქმნენ.

### შეიარაღებული თავდასხმა.

**სიმფეროპოლი.** მაისის 9. სოფელ აკიმოვკაში, მელიტოპოლის მაზრაში მხეცურად დაახრჩვეს მდიდარი ვაჭარი ხარკინი, მისი მეუღლე და მოსამსახურეები.

**ორიოლი.** მაისის 13. ოთხი შეიარაღებული ყაჩაღი მდიდარ ვარეწნიკის სახლს თავს დაეცა. თავდასხმა მოგერიებულ იქმნა საშველად მოწვეულ დაჭრილ სალდათების მიერ. ერთი ყაჩაღთაგანი მოკლულ იქმნა.

**რიაზანი.** მაისის 13. „კრასნი ხოლმში“ ყელი გამოსჭრეს მთელ ოჯახს, დარაჯს და მის ქალიშვილს.

### კატორღელების თხოვნა

**ნიჟნინოვგოროდი.** მაისის 13. გუბერნიის კომისარს ხუთასამდე თხოვნა მოუვიდა კატორღელებისგან: გაგვანთავისუფლეთ და ჯარში გაგვიწვიეთო. შემოწმების შემდეგ 400-მდი ჯანსაღი აღმოჩნდა. ესენი ჯარში გაიგზავნებიან.

# ქრონიკა

## კავკასია

**კავკავი თავდასხმის მოლოდინში.** უკანასკნელ დროს კავკავის ქუჩებზე შემდეგი განცხადება იქმნა გამოკრული: მოქალაქენო! უკანასკნელი ცნობებით სჩანს, რომ მთიულები თავდასხმას აპირებენ ქალაქის მცხოვრებლებზეო.

**კავკასიის დაპყრობის დღის გაუქმება.** თერგის ჯარის წრემ გადაწყვიტა ამიერიდან გაუქმებულ იქნას კავკასიის დაპყრობის დღე აგვისტოს 25. მის მაგიერ იუქმებენ 2 მარტს, რომანოვის დინასტიის დამხობის დღეს.

**შიშიანობა გროზნაში.** გროზნაში ამ დღეებში მოიტანეს მდიდარ მემამულის „აკვარიუმის“ პატრონის ჩუპრინის გვამი. ჩუპრინი გზაში მოეკლათ. სიკვდილის ამბავმა ქალაქი ძლიერ აღელვა. საღამოზე ხმები გავრცელდა, რომ ჩაჩნებს განზრახვა აქვთ მცხოვრებლები ამოხოცონო. მუშათა საბჭოს სადგომში გამოცხადდა მცხოვრებლები და სთხოვეს ქალაქი დაეხსნათ მომავალ რბევა-ულეტისაგან. მათ განაცხადეს, რომ ჩაჩნების შეიარაღებამ ისინი შეაფიქრიანა. საბჭოს წევრებმა მცხოვრებლებს დამამშვიდებელი სიტყვები უთხრეს და აუხსნეს, რომ ჩაჩნებმა თავს ს[...]აღსრულებელი კომიტეტი აირჩიეს, რომელმაც უკვე მიიღო ზომები თავდასხმა ყაჩაღობის მოსასპობადო. შედგენილია სპეციალური რაზმები ყაჩაღებთან საბრძოლველად. თავიანთი მხრივ ჩაჩნებმა განაცხადეს, რომ ყაჩაღები მტერნი არიან ჩაჩნებისაც და მათთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ. ჩაჩანთა და მუშათა საბჭოს შეერთებულ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა მცხოვრებლებს იარაღი ჩამოერთვას. სადგურთან სპეციალი რაზმი სდგას, რომელიც იარაღს ჰყრის მოსულ რუსებს და ჩაჩნებს. გროზნაში ამ ჟამად ოთხი ჯავშნიანი მატარებელი დგას, რომელზედაც 4 ზარბაზანი და 4 ტყვიის მფრქვეველია. გროზნაში მრავალი ჯარი არის. ქალაქის კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ქალაქის მცხოვრებლები მოამზადოს თავდაცვისათვის.

**რუსთა წარმომადგენლნი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატთან არსებულ საოლქო სათათბიროში ამ დღეებში მოწვეული იქნება რუს მცხოვრებთა მხრივ 7 წარმომადგენელი. შემდეგ ამისა სათათბირო აირჩევს პრეზიდიუმს. პრესიდიუმში იქნება 4 წევრი (თითო კაცი ქართველებისა, რუსებისა, მუსულმანთა და სომეხთა მხრივ) და 4 მდივანი.

## საქართველო

**ჯარისკაცთა შუამდგომლობა.** მაისის 16-ს ამიერ-კავკასიის კომისარიატთან იყვნენ გორის მაზრის დეზერტირთა და ჯარში ახლად გაწვეულთა დელეგატები და შემდეგი განუცხადეს: ამ დღეებში ქალაქ გორში მოხდა მიტინგი დეზერტირებისა და ჯარში ახლად გაწვეულთა. მიტინგმა, რომელსაც 5000 კაცი დაესწრო, დაადგინა გთხოვოს თქვენ, რომ 1) რადგან სოფელი უმუშახელოდ დარჩება, თუ ყველანი ეხლავე ბრძოლის ველზე წავიდნენ, ამიტომ საჭიროა, რომ ოჯახზე თითო მუშა მაინც დარჩეს; 2) ხელახლად შემოწმებულ იქმნან ავადმყოფებად ცნობილნი, რომელნიც პროტექციებისა და სხვა საშუალებით თავი გაინთავისუფლეს; 3) მომუშავენი იმ ქარხნებისა, რომელნიც სამხედრო მასალას ამზადებენ, ბრძოლის ველზე გაიგზავნონ, ხოლო მათ ადგილას ქარხნებში ამუშაონ ტნეულებისა და ჭრილობისაგან განთავისუფლებული სალდათები; 4) ყველა სოფელში მოეწყოს კომიტეტები, რომელთაც უნდა მონახონ დამალული ჯარისკაცები.

კომისარიატმა განცხადება თანაგრძნობით მოისმინა და განაცხადა, რომ შუამდგომლობას ცენტრალ მთავრობას ვაცნობებთ, მაგრამ ამან არ უნდა შეაფერხოს ბრძოლაში დროზე წასვლაო.

**ფრონტის სიუზდის ქართველ დელეგატთა ჯგუფმა** იქონია მსჯელობა ნაციონალისტების მიერ დაარსებულ ქართველ მხედართა კავშირზე და სცნო დღევანდელ პირობებში ასეთი კავშირის არსებობა შედეგების მხრით მავნებლად. აირჩიეს ოთხი კაცისაგან შემდგარი კომისია კავშირის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად.

**სარწმუნოებრივი ფანატიზმი საინგილოში.** თბილისში ცნობა მოვიდა, ზაქათალაში ფანატიკოსი მუსულმანები ძალად აქუსულმანებენ თურმე ზოგიერთ ქართველებს. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს თავისი წევრის ჯაფაროვისათვის დაუვალებია სწრაფი ღონისძიება იხმაროს ამ სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ.

**იხვე გადმოხვეწილნი.** აზრუმის ობოლთა თავშესაფარიდან თბილისში ჩამოიყვანეს 90 ობოლი სომეხთა ბავშვი. სომეხთა ცენტრალ კომიტეტმა ეს ბავშვები თუქურმიშის თავშესაფარში გაგზავნა.

**პროვოკაცია ლაგოდეხში.** თბილისში ლაპარაკობენ, ვითომც ლაგოდეხის გარნიზონისათვის ვიღაც პროვოკატორებს ჩაეგონებიოსთ, რომ ზაქათალის მუსულმანები საომარ იარაღს იძენენო და ამის გამო ვითომც გარნიზონი დიდად აღელვებული იყვეს და მცხოვრებთა გაჩხრეკას აპირებდეს.

**ქალთა პირველ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ** ამ დღეებში ყულაბებით 3836 მან. 66 კაპ. მოგროვდა.

## თბილისი.

**ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ნაძალადევის კომიტეტი** მოაგონებს თავის უბანში მცხოვრებ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთ და თანამგრძნობ ქალთა და კაცთა, რომ დღეს, მაისის 18, საღამოს 6 საათზედ ადგილობრივ საეკლესიო სკოლაში დანიშნულია მორიგი პარტიული კრება. წევრებსა ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ.

**სამღვდელოების კრება.** დღეს, მაისის 18, საეპარქიო ბანკის დარბაზში (სასახლის ქ.) საღამოს 8 საათზე დეკ. ნიკ. თალაკვაძის თავმჯდომარეობით გაიმართება თბილ. სამღვდელოების კრება. განხილულ იქნება მიმდინარე საკითხები და ამოსარჩევია ქალ. თბილისის სამღვდელოების საოლქო საბჭო. კრებაზედ უნდა დაესწრნენ თბილისის ქართულ ეკლესიების მღვდლები, მთავრები, მედავითნეები, მნათენი და საეკლესიო სამზრუნველოს წევრნი.

**დეზერტირების გამოცხადება.** მარტის 22-დან ვიდრე მაისის 16-მდე თბილისის სამხედრო უფროსთან გამოცხადდა 3055 დეზერტირი.

**სასურსათო საქმე.** მაისის 17-ს ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა რკინის გზით ფქვილი 4 ვაგონი, სიმინდი 15 ვაგონი და კარტოფილი 1 ვაგონი. თბილისში ფქვილი ცოტაა, მაგრამ კომიტეტმა ცნობა მიიღო, რომ 22 ვაგონმა ფქვილმა უკვე გამოიარა ბალაჯარის სადგურიო და ეს საქონელი 2 დღეში მოვა აქ.

**ახალი გაზეთი.** მოკლე ხანში თბილისში დაიწყებს გამოსვლას ახალი გაზეთი (ბოლშევიკების) „ბრძოლა“.

**საქალაქო არჩევნების გამო.** ქალაქის თვითმართველობის სარეორგანიზაციო კომისიაში მუშათა დეპუტატების საბჭომ თავის წარმომადგენლებად აირჩია: ქ-ნი ი. ი. ჟორდანია, ა. გ. ზურაბოვი, ვ. ხახანაშვილი, ვ. როხლინი და ჩერნიშოვი.

## ქუთაისი.

**მასწავლებელთა დელეგატების საყურადღებოდ,** მაისის 10-ს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის დარბაზში ბ-ნ ი. ოცხელის თავმჯდომარეობით მოხდა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა და დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა, აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა და ქართველ მასწავლებელთა კავშირების გამგეობათა წარმომადგენლების შეერთებული კრება, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი დადგენილება გამოიტანა: „მომავალი ენკენისთვიდან ქუთაისის გუბერნიის უმაღლესი ტიპის პირველ დაწყებით სასწავლებლში და საშუალო სასწავლებელთა პირველ ორს კლასში საგნების სწავლება ქართულ ენაზე უნდა სწარმოებდეს“.

**„ჩვენი მეგობრის“ რედაქტორის დაპატიმრება.** 9 მაისს, საღამოს, ჯარის კაცებმა დააპატიმრეს „ჩვენი მეგობრის“ რედაქტორი ი. მახვილაძე, მიზეზი დაპატიმრებისა შეიქმნა ის, რომ ი. მახვილაძე სოც.-ფედერალისტთა პარტიას ეკავდა. ჯარის კაცებმა ის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში წაიყვანეს, რის შემდეგ გაანთავისუფლეს.

**დაპატიმრებული ოსმალოები.** გრ. ურატაძემ აღმასრულებელ კომიტეტში შეკითხვა შეიტანა რუსეთის ქვეშევრდომ იმ ოსმალთა შესახებ, რომელნიც თბილისში შეიპყრეს და ქუთაისში სატუსაღო ციხეში გამოგზავნეს. ოსმალთ ბრალდებათ ბათომის ოლქში შემოჭრილ ოსმალეთის ჯარის დახმარება. ამ ჟამად დატუსაღებული ოსმალები ითხოვენ გამოარკვიონ მათი მდგომარეობა და შეატყობინონ, თუ რა მოელით მათ. გრ. ურატაძე აღმასრულებელ კომიტეტს სთხოვს, ციხეში მყოფნი ოსმალები საქმის გამოძიებამდე გაანთავისუფლონ და თავ-თავის სოფლებში დააბრუნონ. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს წინადადება მიიღო.

# მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა

მაისის 16-ს თბილისში დაიწყო კავკასიის ყველა ტიპის სკოლათა მასწავლებლების კავშირის დელეგატთა საოლქო ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ 310 დელეგატი და 2000 კაცამდე გარეშე. კრება დაიწყო საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ შახნაზაროვმა და დროს შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა. კრებას მრავალ ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი მიესალმნენ. წაკითხულ იქმნა მისასალმებელი წერილები და დეპეშები. უკანასკნელთა შორის იყო დეპეშა „განათლების“ საზოგადოების ქალთა სემინარიის მასწავლებელთაგან. მისალმებამ და მისასალმებელ წერილების კითხვამ საღამოს 5 საათამდე გასტანა. პრეზიდიუმის არჩევა და სხვა საკითხების განხილვა შემდეგ კრებისათვის გადაიდვა. ყრილობას შემდეგი საგნები აქვს განსახილველ-გადასაწყვეტი: 1) რა დამოკიდებულება უნდა იქონიონ მასწავლებლებმა ეხლანდელ პოლიტიკურ მომენტთან, 2) განხილვა კავკასიის მასწავლებელთა კავშირის წესდებისა, 3) რეორგანიზაცია ყველა ტიპის სკოლებისა და მათი მართვა-გამგეობა, 4) განსხვავება კავკასიის სკოლის ორგანიზაციისა, [5) სკოლის ნაციონალიზაცია], 6) სკოლის გარეშე განათლების გავრცელება, 7) არჩევნები კავშირის გამგეობისა და სხ.

# ქალაქის საბჭო

**მაისის 15.**

თავმჯდომარემ **ა. ხატისოვმა** კრებას მოახსენა, რომ საქალაქო არჩევნების სამზადისი 2 კვირაში უნდა დასრულდეს და თვით არჩევნები 48 დღის შემდეგ უნდა მოხდესო.

კრებას მოხსენდა, რომ გამგეობის წევრი ბ. ნ. ათაბეგოვი თანამდებობას თავს ანებებს. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ათაბეგოვს დარჩენა. გრეფე მოხსენდა კრებას, რომ ხმოსანი ტიგრანოვი თანამდებობას სტოვებსო. ა. მ. არღუთინსკიმ განაცხადა, რომ ტიგრანოვის წასვლით საბჭო დაჰკარგავს მედგარ და პატიოსან მოღვაწესო და წინადადება მისცა საბჭოს ერთხმად სთხოვოს მას დარჩენა. უკიდურესი მემარცხენე ხმოსნებმა ნ. რამიშვილმა და ა. ათაბეგოვმა დარბაზი დასტოვეს. დანარჩენმა ხმოსნებმა ერთხმად დაადგინეს, სთხოვონ ტიგრანოვს დარჩენა.

კრებას მოხსენდა გამგეობის განცხადება, რომ საბჭოს წინანდელი დადგენილება შესახებ იმისა, რომ სალდათებს ტრამვაის შაურიან ბილეთში 3 კაპეიკი აძლევინონ ხოლმე, ხურდა ფულის უქონლობის გამო ვერა სრულდება და ამის გამო სალდათები შაურიანი ბილეთით ერთი სადგურის ნაცვლად 3 სადგურს გადიანო. საბჭომ ასეთი მოვლენა დააკანონა, ე. ი. დაადგინა, რომ სალდათებს ნება ჰქონდესთ შაურიანი ბილეთით 2 სადგური გაიარონ.

კრებამ სალდათთა დეპუტატების საბჭოს თხოვნის თანახმად დაადგინა ალექსანდრეს ქვედა ბაღის ერთ ნაწილში სალდათთა კრებები მოეწყოს.

# ახალი ღმერთების მოწოდება

უხსოვარ დროიდან ხალხს ღრმადა სწამდა, რომ თითო განვითარების პერიოდში ადამიანს სხვა და სხვა ღმერთები უწევენ მფარველობასაო. ერთი სამოქალაქო სტატუსიდან მეორეში გადასვლისას თვითეულს საზოგადოების წევრს მეტად რთული რიტუალი უნდა შეესრულებინა, რომ ძველს ღმერთებს მშვიდობიანად დაჰშორებოდა და ახალნიც დაემწყალობებინა, რათა მათი მფარველობა არ მოჰკლებოდა „აწ და მარადის!...“ ამიტომ იყო, რომ გარდამავალ საზღვრებზე მას აღმართნა სამსხვერპლო, რათა წარსულის აჩრდილს და განშორებულ ღმერთების რისხვას დევნა არ დაეწყოთ მისთვის და მოსვენებით შესძლებოდა ახალ ცხოვრების უღლის წევა.

ადამიანთა ცხოვრებაში ასეთი გარდამავალი საფეხურები მრავლიდან მრავალია ერთი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობიდან მეორეში გადასასვლელად, რასაც თან ჰყვება განსაზღვრული პსიხოლოგიური კრიზისები, როგორც ყოველს კერძო ადამიანის ცხოვრებაში. იმ ჯვარედინს გზაზე, სადაც გარდატეხა ჰხდება დაცხობილ ღმერთებთან გამოსამშვიდობებლად და ახალი ღმერთების მისაღებად, აღმართულია დიადი თეთრი სამსხვერპლო ახალ მღვდელმსახურების შესასრულებლად. უწინარეს ყოვლისა აღგზნებულს კოცონში ჰყრიან ძველის ღმერთების სამოსელსა და სადღესასწაულოდ გამოწყობილნი განწმედილ გულით და ბრწყინვალე რწმენით ეთაყვანებიან ახალ ღმერთებს, ახლად გარდაშლილ იდეალთა მშვენიერების ცისკარს.

ქართველს ერს თავის არსებობის სარბიელზე მრავალჯერ მოჰხდომია ძველი კერპების დამხობა და ახალ რიტუალის შესრულება. მრავალ შავბნელ და ბრწყინვალე გარდამავალ ხანებით განწმედის უკანასკნელი ფაზა რუსეთთან დამოყვრებით განვლო. არც ქრისტიანობის მიღებას, არც შემდეგ არაბთა და მონღოლთა გალაღებას ქართველი ერი არ შეჰგებებია ისეთის აღტაცებით, როგორც სკვითთა მიერ გამოგზავნილს ახალ ღმერთებს, მაგრამ არც ერთი ურდოს შემოსევა არ ყოფილა ისე მძვინვარე, შესაზარი, როგორც ღმერთთა-ღმერთ პერუნის გაბატონება, რომელიც ჩვენგან მოითხოვდა ჩვენთვის უცნაურს ღვდელმსახურებას, ჯერ არ ნახულს თაყვანისცემას. ერი შეინძრა, ერმა ძრწოლა დაიწყო, მაგრამ ველარა გააწყო-რა ძლიერი კერპის მეხისა და ცეცხლის რახტის წინაშე, ვერც წინ წავიდა,

ვერც უკან და ნებსით თუ უნებლიედ სასტიკი კერპის კარნახით მოჰყვა წარმართულ ლოცვების ბოდვას, რა თქმა უნდა, დამუნჯებულის ენით, შიშით ასხმული ნაოჭებით და გამქრალ რწმენით. ქართველ ერს სადღესასწაულო ბრწყინვალე სამოსელი შავი ლაქებით აეთხუპნა, მთლად აეზინტლა...

დღეს პერუნის გადმოგდების დღეა. მთელს რუსეთში ძლიერმა რევოლუციის ქარიშხალმა ბიწიერების ტახტრევანიდან გადმოსტყორცნა მრისხანე კერპი. აღტაცებული ერი ახალს ღმერთს—თავისუფლებას — ჰიმნთა - ჰიმნს უგალობს, მთვრალურ ყიჟინით ქებას ასხავს. ბრწყინვალე რიტუალით ახალგაზრდა რუსეთი ძველის ცოდვებისაგან იწმინდება. ყინულის ხნული ლღვება, მზის სხივებით იშლება ახალ-ახალ იდეალების და უკეთილშობილეს მიზნების ყვავილები. მართალია, ჯერ კიდევ რისხვის საზარელ ქარიშხალს სავსებით არ გარდაუვლია, მაგრამ ახალი ღმერთი განახლებულის ერისთვის უკვე დავაჟკაცებული და მოკლეა, რომელიც გვერდზე ჩამოკიდებულს ხმლის სიმძიმეს არ უშინდება. იგი ერთის ხელის მოსმით სპობს ძველი პერუნის ყოველ წესრიგს და სცდილობს ახალ უკეთილშობილეს ინსტიტუტების შემოღებას, რათი აღზარდოს თავის თავიც, თავისი ხალხიც, ახალი გამგებლობაც, რომ უფლებისა და სამართლიანობის ბილიკებით განთავისუფლებულმა ერმა შესძლოს თანხმობით, ერთსულოვნად გასწიოს აღორძინებისა და კულტურულ განვითარების წალკოტისკენ. იშვა ახალი სული განთავისუფლებულის მონა ერისა და მის წინაშე არ არსებობს არარავითარი ჯაჭნის ზღუდე უზენაეს რეფორმების მოსახდენად, კანონისა და სამართალის დასამყარებლად.

ახალი ღმერთი განახლებულის რუსეთისა ყოველ სიკეთესთან ერთად შემწყნარებელიც გამოდგა. რუსეთის შემადგენელს განაპირა ერებს უკეთილშობილესი მზრუნველობით შეეგება და სათანადო მანიფესტებით თუ კეთილის დაპირების თანახმად ფინეთი, პოლონეთი, თუ გნებავთ, უკრაინაც კი ფაქტიურად შეუდგა საკუთარ ღმერთების კერის აღდგენას, საკუთარს მღვდელმსახურების შესრულებას. მათ პრაქტიკულს ნიადაგზე გარდაიტანეს ახლავე მომავალი ეროვნულა მართვა-გამგეობის საქმე. მათთვის მომავალი დამფუძნებელი კრება არ შეადგენს რაიმე აღთქმულს ქვეყანას, რომლის მიღწევამდე საშინელი პოლიტიკური უდაბნოები უნდა გაიაროს ადამიანმა. პირიქით, იგი მხოლოდ უზენაეს სანქციად მიაჩნიათ იმის დასამტკიცებლად, რასაც დღეს ეროვნულს ნიადაგზე საძირკველს ჩაუყრიან. მხოლოდ ჩვენ, ქართველები, გავერთეთ საზოგადო ენთუზიაზმით, მხოლოდ ჩვენ გადაგვრია უკეთილშობილესმა, მაგრამ მაინც უცხო ღმერთის მშვენიერებამ, რომლის საყვირი რძ სა და თაფლის სიტკბოებით ესმის ჩვენს ყურსა და გაბრუებულთ აღარ გვსურს ოდესღაც ღარიბ, მაგრამ მით მაინც, ჩვენი ღმერთების საკურთხევლის აღდგენა, საკუთარს ენაზე უზენაეს მღვდელმსახურების შესრულება. თუ რომ ეს ასე არ არის, მაშ სადაა ძლიერი მოქმედება გაღვიძებულ ფხიზელი ერისა პრაქტიკულს ნიადაგზე? სადაა ქართველი მოქალაქე, როგორც ასეთი, საკუთარის ეროვნული კოკარდით, ეროვნული დროშით, რომ საზოგადო ფერხულში მრავალნაირობის მშვენიერება შეიტანოს ძველი ღმერთების მიერ გადახალისებული მოსაწყენ ერთფეროვნებაში? რატომ არ ვხედავთ საზოგადო ვარჯიშობას ყოველს დაწესებულებაში, ყოველს ასპარეზზე, სოფლად თუ ქალაქად, ვთქვათ, თუნდა სკოლისა და სამართლის სრულს განაციონალიზაციებას? იმ დროს, როდესაც ქართველი დეპუტატები მოძრაობის მესვეურებად გახდნენ, როდესაც სამინისტრო პორტფელს ერთი საუკეთესო არწივთაგანი ატარებს დღეს, როდესაც ქართველივე ძალები შესდგომიან მთელი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკისა თუ კონსტიტუციის საფუძვლის გამომუშავებას, აქ, ჩვენ, იმავე არწივების დამზრდელნი, ვსდუმვართ საკუთარს საქმეზე, ვსდუმვართ ოქროს დუმილით, ვსდუმვართ თითქოს ამ დუმილით შეიძლებოდეს ეროვნულ უზენაეს ბედნიერების მოპოვება! „ოთხი ფეხით დაჭედილი ცხენი აღარ წაიქცევაო", ამბობს ბრძნული ქართული ანდაზა. ჩვენც ვიცით ეს, ვიცით და აკი ამიტომაც მთელი ძალღონით ვცდილობთ ნალბადობას და უცხო მოძმეთა ბედაურების დაჭედვას, მაშინ როდესაც საკუთარი ბიჩანა ოთხთავე ფეხთ ნალებ აყრილი გვეგულება. უცხო ღმერთის ყურებამ ყოველისფერი ჩვენი გადაგვავიწყა, მისი საფარველი ზომაზე მიგვაჩნია, მაშინ როდესაც საკუთარი ორგანიზმის მოდელი სულ სხვა ზომის საფარს თხოულობს. ვშიშობთ და ვკანკალებთ საკუთარზე, თითქოს დღესაც საზარელი პერუნი თვალად და ყურად იყოს გარდაქცეული, რომ დაგვიშალოს თავზე ზრუნვა. ვინ რას გვიშლის, რომ გავაკეთოთ ეხლავე ის, რის გაკეთებაც შეგვიძლიან? ძველი რეჟიმის შიშმა შეგვაჩვია ჩივილს და წუწუნს, შემოქმედების ღმერთი ჩავკალით და სხვათა ამშენებელნი იმავე სხვებს მოვუწოდებთ „მოვედით, გაგვმართეთ"... დღეს, როდესაც ყოველგან ახალი სული ჰფეთქს, ჩვენ ისევ ძველს ვებღაუჭებით. სოფელ ქალაქად არა სჩანს ნიშან-წყალი ქართულ სასამართლოს შემოღებისა, აქ ერთი გიმნაზია გვაქვს და სწავლის საქმე, მისი სრული განაციონალიზაციება, ვერ მოვახერხეთ, თითქოს დიდი რამ საქმე იყოს ქართველმა მასწავლებელმა წლის განმავლობაში ზედმეტი ენერგია დახარჯოს და მოსწავლეთ ყველა კლასებში ქართულადვე ასწავლოს, რათა პრინციპს მაინც არ უღალატოს. მაგრამ რა სკოლა, როდესაც ეკლესიასაც ვერ მოუარეთ. დღეს, როდესაც განთავისუფლებული სინოდისი ღვთის საკითხს ყორნების საძაგლად აღარ ჰხდის, ჩვენ ისევ სინოდის შავი ყვავებისკენ გავიყურებით და ავტოკეფალიის გარდაწყვეტილ საკითხს ბენეშევიჩების წალის ქუსლზე გამოგვეკრია. ამასა ვხედავთ, მაგრამ ვსდუმვართ, ვსდუმვართ ჩვენ, პრესა, საზოგადოება, ეს მხოლოდ სამღვდელოების საქმედ მიგვაჩნია, გვერცხვინება კიდეც, გარეგნულად შესაძლებელია ჰებერის საშინელს უკმეხობის მუშტს ვატრიალებთ, მაშინ, როდესაც გულში მზად ვართ შვილთა ცხედარი ცხრა მთას იქიდგან საგანგებო მატარებლით ჩამოვასვენოთ მამა-პაპათა საფლავებს შორის დასაკრძალად. თავ-გზა დაბნეულს სამღვდელოებასაც ვეღარა უწამებია-რა, ერთსულოვნად ვეღარ მოქმედებს, რა არის ამით მართლა რეაქციონერობა არავინ დამწამოსო და 12 მარტის დღე ლამისაა უგუნურების აქტად გამოაცხადოს და ნაცარ-წაყრილმა სინანულის ცრემლების ნთხევით ისევ ძველს მმართველს მოუწოდოს...

რატომ ხდება ასე? რატომ და იმიტომ, რომ უფრო ფანტაზიორები ვართ, ვიდრე პრაქტიკულად მოსაქმენი. ჩვენში სჭარბობს ცირკული, გამაღიზიანებელი გრძნობა. შორეული გვიყვარს და აწმყო კი ვერ გაგვირკვევია. საზოგადო უფრო მალამოდ გვეცხება, ვიდრე საკუთარი. თეორიების ბურუსში გვიადვილდება ფრენა, ვიდრე სინამდვილის ნიადაგზე პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმა. სიტყვა ფრთას გვასხამს და გვაძმარებს პატარა საქმე. ამიტომაა, რომ ყოველისფერი „ხვალისთვის" მიგვინდვია. „ხვალ იყოს... დამფუძნებელი კრება მოგვცემს... დამფუძნებელს კრებამდე საზოგადო საქმის ღალატი იქნებაო... ყოველისფერი იქიდან... ყოველისფერი მით..." ჩვენც ვყურებთ და ამ ვარდისფერ მომავლისაკენ ვიყურებით, რომლის მომხიბვლელს სიღრმეში მოსჩანს ვითომც ჩვენი გაბედნიერების მშვენიერი გუმბათი! გვავიწყდება, რომ ოცნება საზოგადო ვარსკვლავთა კამარაში აფრენს ადამიანს და მიტომაც ბრწყინვალედ გვეჩვენება არ არსებული ლანდებით გამოკრთალი ჰაეროვანი გუმბათები. მას კი, ვისაც დაჭედილი ფეხები მიწაზე დაუბჯენია, უწინარეს ყოვლისა, საძირკველი და კედლები აინტერესებს, ვიდრე ჰაერში ჩამოკიდული გაჩირაღნებული გუმბათები! ერიც სწორედ ამ მტკიცე საძირკვლის ჩაყრას უნდა ჰლამობდეს მთელი თვისი ძალღონით. ყოველი „ხვალ" უქნარი ხალხის ავადმყოფობაა. ვისაც სიცოცხლე ჰსურს, ის ფინელებსავით და პოლონელ-უკრაინელებსავით დღესვე შეუდგება საკუთარ ღმერთების სამსხვერპლოს აგებას. ყოველი წუთის დაკარგვა შესაძლებლობის შანსთა დასამარებაა. ვარსკვლავა გუმბათის ყურება მალე სინამდვილის კვარცხლბეკზე დაგვანარცხებს და ვაი თუ მაშინ ყოველგვარი ცდილობა დაგვიანებული იყოს და ყურებ ჩამოყრილნი ახალს, მაგრამ მაინც უცხო ღმერთის საფარველს, ისევე შევეყუჟოთ, როგორც ამ შავბნელი საუკუნის წინ პერუნის ჯოჯოხეთს...

საკუთარი ახალი ღმერთები საკუთარ მღვდელმსახურებისთვის მოგვიწოდებენ... ყურნი მივაპყრათ!..

დ. კახრაძე.

# კორესპონდენცია

## რევოლიუცია კახეთში

საერთო მოძრაობაში დინჯი კახეთიც ჩაება. გულჩათხრობილი, დაბეჩავებული იგი ამეტყველდა, ამეტყველდა მძლავრად და გამოსთქვამს მთელ ბოღმას რაც წარსულმა მის გულში დააგუბა. სიტყვით, ბობოქრობს კახეთი. მართალია უხეშმა ძველმა რუსეთმა დიდი სამსახური არ გაუწია ჩვენ ხალხს სწავლა-განათლების გავრცელებით, მაგრამ კახელ გლეხის საღი გონება, წარსულ სიდუხჭირეში გაწვრთნილი, ნათლად ჰხედავს თავის საჭიროებას. საკმაო მიწა, ყოველივე მიწის მუშას, საკუთრებად მიცემული, აი მისი პირველი და მძლავრი მოთხოვნილება. საკუთრებად აუცილებლივ, რადგანაც სოფლის მეურნეს ვერავინ დააჯერებს, რომ მამულის აყვავება-გამშვენიერება და შრომის სამართლიანი დაფასება კერძო საკუთრების გარეშე შესაძლო იყოს.

სოციალიზაცია მიწის და საზოგადოთ კერძო საკუთრების მოსპობა გლეხის ბუნებას არ ეკარება და თუ ამგვარ აზრებს რაიმე გასავალი აქვს სოფლად, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხს მის ნამდვილ შინაარსს არ უხსნიან და ლამაზ სიტყვებით აბრუებენ.

შინაურ ცხოვრების უოპეკუნოთ თავის ძალ-ღონით გაძღოლა, აი მეორე ისეთივე მძლავრი ერთსულოვანი მოთხოვნილება სოფლისა. მაგრამ პარტიულ ჟინით დაბრმავებულ ზოგიერთ პროპოგანდისტებისაგან, ხალხი ისეა მოშხამული და გაღიზიანებული, რომ ამგვარ მართველობის ნამდვილი სახელის, ე. ი. ავტონომიის, გაგებაც არ უნდა.

ამ სიტყვებთან, რომელიც ნათლად და სავსებით გამოჰხატავს სოფლელის სურვილს და მოთხოვნას ამ რევოლიუციაში, ზოგიერთთა წყალობით სოფლელს დაუკავშირებია ყოველგვარი საზიზღრობა, როგორც მაგალითად ბატონ-ყმობის აღდგენა, მეფობის შემოღება და სხვა.

მართალია, სიტყვა ავტონომია სოფლელს აშინებს, რადგანაც ასეთ საფრთხობელად დაუხატა მას ზოგიერთმა „იდეურმა მუშაკმა", მაგრამ ამ სიტყვის ნამდვილი შინაარსი, ისე, როგორც მიწის საკითხში კერძო საკუთრების განმტკიცება, გლეხის დღევანდელ სულის კვეთების ნამდვილი გამომხატველია. ხშირად გამიგონია არა ერთ და ორ გლეხისაგან,—რათ მინდა ისეთი რევოლიუცია, რომელიც საკმაო საკუთრებას არ მოგვცემს და ჩემ შინაურ ცხოვრებაში ბატონ-პატრონად მე არ გამხდისო.

და აი ამისთანა გარკვეულ პსიხოლოგიის და შეგნების მქონე ხალხს ეპატრონება ისეთი პარტია, რომელიც თავის სააგრარო პროგრამით კერძო საკუთრების შეურიგებელი მტერია. მაგრამ ეს დაპატრონება, როგორც ზევით მოვიხსენიე, თავიანთ პროგრამის გადაფუჩეჩებით ხდება. პარტიულმა ჟინიანობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ არა სოციალ-დემოკრატის სოფლად გასვლა პირდაპირ სახიფათოა, იმდენად გაღიზიანებული და აზხედრებულია ხალხი.

ამისთანა არეულ დროს შესაფერი იყო ბ. ჩხენკელის ჩამოსვლა ქ. თელავში. ყველა იცნობს ბ. ჩხენკელს როგორც სოციალ-დემოკრატს, რომელიც ერის არსებობაზედ ამყარებს თავის იდეალების განხორციელებას. ყველა მოუთმენლად ელოდა, რომ პატივცემული სტუმარი ავტონომიის შესახებ თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყოდა და განფანტავდა იმ ბურუსს, რომელიც ას საგნის გარშემოა ატეხილი. თუ რამდენად მოწამლული იყო ატმოსფერა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ამის ცოცხალი მაგალითი თვით ბ. ჩხენკელმა იხილა თავის საკუთარ თვალით. როდესაც ს.-ფედერალისტთა წარმომადგენელი სალამს უძღვნიდა სტუმარს, და ახსენა თავის პარტიის სახელი, ხალხმა საშინელი განგაში ასტეხა და ყვიროდა „ძირს, ძირს"-ო. ორატორი იძულებული იყო შეეწყვიტა თავისი სიტყვა.

ძლივს შესძლო აქაურმა აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა დამშვიდება ხალხისა, ისიც იმიტომ, რომ რწმენით სოციალ-დემოკრატი იყო. ხალხისთვის კი ეს რეკლამა კმაროდა, რომ შეესმინათ მისი სიტყვა. ალბად ეს ინციდენტი ბ. ჩხენკელს დიდ სიამოვნებას არ აგრძნობინებდა და მისალმებების შემდეგ თვით ბ. ჩხენკელმა მიჰმართა ხალხს სიტყვით: სიტყვა იყო საერთო პოლიტიკურ ხასიათისა, იგი მოუწოდებდა ხალხს ერთსულოვან მუშაობისკენ რევოლიუციის განსამტკიცებლად. სხვათა შორის ორატორმა სთქვა: „ვერავითარი მთავრობა ხალხის სურვილების გამომსახველი ვერ იქნება, თუ თვით ხალხი თავის ჰპირვარამის შემგნები გვერდში არ ამოუდგება მასო".

მაგრამ მიზანშესაფერია თუ არა რომ დღეს ხალხმა თავის გასაჭირზედ მოილაპარაკოს და მომზადებული წარსდგეს დამფუძნებელ კრების წინაშე, პატივცემულმა კომისარმა ამაზედ არაფერი სთქვა, თუმცა ამის ახსნა-განმარტება მეტად საჭირო იყო. ეროვნულ საკითხს თავის პირველ სიტყვაში ბ. ჩხენკელი თითქმის არ შეჰხებია. ხოლო სალამოთი აღმასრულებელ კომიტეტის საჯარო კრებაზედ, საცა იგი საპატიო თავმჯდომარეთ იყო არჩეული, უფრო ვრცლად იტაპარაკა ამ საგანზედ. თვითეულ ერს რუსეთის სახელმწიფოში მყოფს, სთქვა ორატორმა, აქვს თავისი იდეალები, რომელნიც უნდა განახორციელოს დღევანდელმა რევოლიუციამ. თუ დღეს ნაციონალური საკითხი მეტად მწვავე ხასიათს იღებს ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველმა რუსეთმა თავის უხეში და ბრიყვი პოლიტიკით დაჩაგრულ ერებს მეტად გაუღვიძა თავმოყვარეობაო. კერძოთ ავტონომიაზედ და საზოგადოთ პრაქტიკულ მუშაობაზედ ბ. ჩხენკელს არა უთქვამს-რა. მაგრამ, მაინც უნდა ვსთქვა, რომ მისმა მოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედ და ავტონომიის საკითხს ცოტაოდენი „ლეგალიზაცია" მოუპოვა.

G.

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 საღ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

# კახეთის რკინის გზა

საფოსტო მატარებლების მიმოსვლა

I, II, III კლასის ვაგონებით.

(დრო ადგილობრივია)

თბილისიდან ყოველ დღე მიდის დილის 8 საათ.

გურჯაანის სადგურზე მოდის ნაშუადღევის 2 საათზე და 20 წ.

გურჯაანის სადგურიდან მიდის თელავისაკენ ნაშუად. 2 საათ. და 40 წ.

თელავში მოდის საღამოს 4 საათზე.

გურჯაანიდან მიდის წნორის-წყლის სადგურისკენ 3 საათ.

წნორის-წყლის სადგურზე მოდის საღამოს 4 საათ. და 10 წ.

---

თელავის სადგურიდან მოდის ყოველ დღე დილის 10 საათზე 15 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათ. და 35 წუთ.

წნორის-წყლის სადგურიდან მოდის გურჯაანისაკენ დილის 10 საათზე და 32 წუთზე.

გურჯაანის სადგურზე მოდის დილის 11 საათზე და 30 წ.

გურჯაანის სადგურიდან მოდის თბილისისაკენ ნაშუადღევის 12 საათზე.

თბილისის სადგურზე მოდის საღამოს 5 საათზე და 26 წ.


ექიმი

**მ. ი. ზარნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს სახებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

დოქტორი მედიცინისა

მიხეილ ანთიმოზის ძე

**კალანდარიშვილი**

ყოფილი ასისტენტი ... კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ... ქ. № 3.

ექიმი

**მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი

**ბ. მ. მუხაძე**

იღებს ხალოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

**გ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და ხიმშიევის ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მიხეილის საავადმყოფოს ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროვება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ... თეთრიანისა, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ტელეფონ „914" და „606"

შეხვაპეხება

**იყიდება ახლად მიღებული**

# ცარანი

(ვ ო ლ ფ ა)

**ბითუმად და წვრილად**

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 80 და ოლღას ქუჩა № 36.

3—645—1

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

**„ხალხის თავისუფლება"-ზე**

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით ❧ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთი ღირს: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპანის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

(10—638—9)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და ხმარ ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი ხამხურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ❧ თვით პრობკებსაც აწერია

**„ლაღიძის წყალი"**

ლიმონ და სხვა ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

თეზის მრეწველნი

**ძმ. ძეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „დ. მაიდლოვსკ-შვილ, სამრეწველოობიდან ახალი ქერიოთის ხიზილალა, შვერე მარილიანი, შავი „მეშინსნ" ხიზილალა. მიიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხარდინები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხაწარმოების იაფად.